ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წლიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—3 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სტამბ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

11 ხუთშაბათი, 18 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 18 მაისი 1922 წ. № 111

საქართველოს კ. პ. თ. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს, რომ პარტიულ რაიონულ სკოლების გახსნა დანიშნულია შემდეგ დღეებში:

1) მე-2 რაიონის სკოლა: (სომხურ ენაზე) გაიხსნება ხუთშაბათს, 18 მაისს, საღამოს 5 საათზე ახალი დროით, მე 3 რაიკომის შენობაში. სკოლის ლექტორი ამხ. **თუმანოვი**. მეცადინეობა იწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

2) მე-3 რაიონის სკოლა რუსულ ენაზე) გაიხსნება პარასკევს 19 მაისს საღამოს 5 საათზე ახალი დროით მე 3 რაიკომის შენობაში. სკოლის ლექტორი ამხ. **ლიადოვსკისა**. მეცადინეობა იქნება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღამოს 5—7 საათამდე.

პირველ რაიონის სკოლის გახსნის შესახებ (ქართულ ენაზე) გამოცხადებული იქნება დამატებით.

ზემო აღნიშნულ სკოლის კურსანტებს და ლექტორებს წინადადება ეძლევათ დაიწყონ მეცადინეობა აღნიშნულ დროს.

საქართველოს კ. პ. თ. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესსენი**

(2—2)

ხუთშაბათს, 18 მაისს, საღამოს 7 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის კაბინეტში შესდგება

ჯარის ნაწილების შეფების წარმომადგენელთა და რაიკომების მდივნების თათბირი

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო ყველა შეფების წარმომადგენლების და რაიკომების მდივნების გამოცხადება სავალდებულოა.

ს. კ პ. თ. კ. მდივანი **კახიანი**.

პოლიტსამდივნოს უფროსის თანაშემწე: **ფელდმანი**.

საბჭოთა მართლმსაჯულება

მოსკოვში ამას წინედ ადგილი ჰქონდა ფრიად საყურადღებო სამოსამართლო პროცესს. საბრალმდებლო სკამზე ამ შემთხვევაში დასმული იყვნენ ანაფორაში გახვეული კონტრრევოლიუციონერები.

როგორც ვიცით, საბჭოთა მთავრობამ რუსეთში გამოაქვეყნა დეკრეტი ეკლესია-მონასტრებში უქმად არსებულ განძეულობის გამოყენების შესახებ დამშეულთა სახსნელად სიკვდილის ბრჭყალებიდან.

ამ საკითხის გამო სასულიერო წოდებაში იჩინა თავი აშკარა განხეთქილებამ. მისი დემოკრატიული ნაწილი, რომელიც დაახლოვებულია ხალხთან და იმყოფება მის გავლენაში, აგრეთვე განიცდის საეკლესიო არისტოკრატიისაგან ჩაგვრას,—წინააღმდეგობას არ უწევს საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯს, პირიქით თანაუგრძნობს მას და ხშირად აგიტაციას ეწევა მის სასარგებლოდ. ამას მოწმობს მათ მიერ მრავლად გამოცემული მოწოდებები, რომლებშიაც აგონებენ ხალხს ყური არ ათხოვოს პროვოკატორებს და ჩააბაროს განძეულობა საბჭოთა ხელისუფლებას.

სულ სხვანაირად ფიქრობს და მოქმედებს კიდეც ეკლესიის „თავადობა“. ამ მეფის რეჟიმიდან დარჩენილ შავ ხროვას მის განკარგულებაში მყოფ ეკლესია-მონასტრების განძეულის ჩამორთმევა აცლის ნივთიერ ბაზას და მის კეთილდღეობას არყევს; მეორე მხრივ, ამ განძეულის გამოყენება, იხსნის რა დამშეულებს, ამასთან ერთად ამტკიცებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ეს გარემოება კი, რა თქმა უნდა, მიუღებელია ეკლესიის მესვეურებისათვის, რომელნიც, როგორც ყველა სხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებიც, ოცნებობენ ძველი დროის დაბრუნებაზე და ამისათვის ყოველ შემთხვევას იყენებენ, ყოველ საშუალებას ხმარობენ, თუნდაც ამას მილიონ ხალხის სიმშილით ამოწყვეტა მოყვეს.

პირადი მატერიალური ეგოიზმი და კონტრ რევოლიუციონური განზრახვა,—აი ორი ძირითადი მოტივი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად გამოიყვანა რუსეთის უმაღლესი სამღვდელოება.

ხსენებულ პროცესებზე სავსებით გადაიშალა ამ ბრძოლის სურათი, ამ სამღვდელოების ფარული თუ აშკარა მოქმედება, რომლის მიზანი იყო გამოყენება ხალხის სიბნელის, იმ სიბნელის, რომელშიაც ამ „გამნათლებლებს“ უდიდესი დანაშაული მიუძღვით,—მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით ამ ხელისუფლების დამხობის მიზნით.

ნათლად გამოირკვა, რომ ანაფორიან თავადებს საეკლესიო განძეულობის საკითხთან დაკავშირებით მოეწყოთ არალეგალური კონტრ რევოლიუციონურ ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის სათავეში იდგა თვით „უწმინდესი“ პატრიარქი ტიხონი. ის აგზავნიდა თავის აგენტების საშუალებით საიდუმლო „ცირკულიარებს“, რომლებშიც პროვოკაციას ეწეოდა, თითქო საბჭოთა ხელისუფლებას გადაეწყვიტოს სამღვდელოების დევნა და ეკლესიის განადგურება, განძეულობის ჩამორთმევას აღიარებდა სარწმუნების და საეკლესიო „კანონების“ შელახვად და მოუწოდებდა ხალხს ხმა ამოეღო ამის წინააღმდეგ; მართავდნენ ფარულ კრებებს, სადაც ამუშავებდნენ პროტესტებს, კრეფდნენ „საღვთო წერილიდან“ ადგილებს, რომელთაც შეეძლოთ ბნელ ფანატიკურ მასსის აღელვება და ამ გვარად შედგენილ მოწოდებებს ავრცელებდნენ და სხ. განძეულობის ჩამორთმევის დროს დგებოდა მათი საინიციატივო ჯგუფები, რომელშიაც შედიოდნენ, სასულიერო პირების გარდა, ყოფილი პოლიციელნი, სპეკულიანტები და ძველი რეჟიმის ყველა ნაძირალები, რომელნიც ამხედრებდნენ მასსას საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილების ამსრულებლების წინააღმდეგ.

პროცესის დროს სავსებით ცხადი გახდა ეკლესიის ბიუროკრატიის და დანარჩენ ნაძირალების საზიზღარი და სამარცხვინო მოქმედება.

აი, ეს ხალხი წარდგა საბჭოთა რევოლიუციონურ მართლმსაჯულების წინაშე.

და მოსკოვის რევტრიბუნალმა იმ 54 პირიდან, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემული, როგორც საეკლესიო განძეულის ჩამორთმევის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზატორები, 12 კაცს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, დანარჩენები, 10 გამართლებულის და 4 მოხუცებულობის გამო სასჯელისაგან განთავისუფლებულის გამოკლებით, კარგავენ თავისუფლებას სხვადასხვა ვადით, ერთიდან ხუთ წლამდე.

საბჭოთა მართლმსაჯულება სამართლიანია, მაგრამ ამავე დროს სასტიკი ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ლახვარს ჩასცემს ზურგში მშრომელ მასსებს.

აღნიშნულ კონტრ-რევოლიუციონერებს წილი უდევთ დამშეულთა დაღუპვაში, მათი ხელი გასვრილია წითელ არმიელების და სხვა საბჭოთა თანამშრომელების სისხლში, რომელნიც დაიღუპენ მათგან განძეულის ჩამორთმევის დროს; ისინი დამნაშავენი არიან მთელი მშრომელი ხალხის წინაშე, რომლის ბატონობის დამხობა მათ განიძრახეს.

ამიტომაც ასე სასტიკათ აგებინა მათ პასუხი რევოლიუციონურმა სამართალმა. ეს ღირსეული სასჯელი ამავე დროს გაკვეთილიც არის მშრომელი მასსის მტრებისათვის: ყველამ უნდა იცოდეს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ვერ მოითმენს მათ შავ მოქმედებას და რკინით და ცეცხლით გაუსწორდება მათ, ვინც შეეცდება ხალხის უბედურებაზე თავის ბედნიერების აგებას.

ფულის ტრიალის შესახებ საქართველოში

მიუხედავათ იმისა, რომ საკმარისია სატრიალებელი თანხა გაცვლა-გამოცვლისათვის საქართველოში, მაინც ხშირათ სჩივიან, რომ ვაჭრობა შეჩერებულია, არ სჩანს ფული და სხვა. ფულის ნაკლებობაზე შეიძლება ჩიოდეს მხოლოთ უბრალო მოქალაქე, რომელსაც არაფერი არ გაეგება ფულის ტრიალის კანონის შესახებ. ფული ჩვენ არა თუ საკმარისი გვაქვს, არამედ ზედმეტიც კი ჩვენი ცნობებით მთელი ამიერ-კავკასიის საქონლის ტრიალისთვის საჭირო იყო 10—12 მილიონი ოქროს მანეთი, თუ სახეში მივიღებთ თითეული ცალკე ერთეულის თითქმის მაქსიმალურ ტრიალს, ე. ი. დაახლოვებით 8 ან 10, ჩვენ მაინც მივიღებთ ციფრს, რომელიც საგრძნობლათ დიდია იმ ციფრზე, რომელიც შეეფერება ჩვენ მიერ გამოშვებულ ფულის რაოდენობას. მაშასადამე საქმე აქ ჩვენ მიერ გამოშვებულ ფულის რაოდენობაში კი არაა, არამედ იმ ნამდვილ დეფექტებში, რომლებიც აფერხებს ჩვენს ფულის ტრიალს. ჩვენ არ გამოვუდგებით აქ ყველა ამ დეფექტების აღნიშვნას; აღვნიშნავთ მხოლოთ უმთავრესს: ჩვენი მანეთის პატარა ღირებულებასა და კუპიურის სიმცირეს. ჩვენი მანეთის დაბალ ფასის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს შესახებ არ ვილაპარაკებთ. საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოების მთელი პოლიტიკა ფინანსების დარგში მიმართულია მანეთის კურსის ამაღლებასა და სტაბილიზაციისაკენ. ჩვენ შევეხებით აქ მხოლოთ მეორე კითხვას.

მაქსიმალური კუპიურა, რომელსაც გასავალი აქვს საქართველოში, ეს 5 ათასიანი ბონია. საბაზრო ღირებულება ამ ხუთი ათასიანი ფულის ნიშნისა უდრის დაახლოვებით 4 კაპიკს, ხოლო ოფიციალური კი 5 კაპ. რეალობათ რომ მივიღოთ ოფიციალური კურსი, ჩვენ მაინც მოგვიხდება აღნიშვნა იმის, რომ მთელი ჩვენი ფულის ტრიალი უნდა წარმოებდეს ნიშნებით, რომელთა ღირებულება, თვითეულისა ცალ-ცალკე არ აღემატება 5 კაპიკს. ყველა გაიგებს ასეთი მდგომარეობის სრულ არა ნორმალობას. როგორ დასდონ მაგალითად ისეთი პირობა, რომელიც მოითხოვს რამდენიმე ათი ათას ოქროს მანეთს, თუ თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ყველა ეს ათი ათასები ხუთ კაპიკიანი ნიშნებით? ეს ფიზიკურად დიდ უხერხულობას წარმოადგენს. როგორ მოუყრით თავს ხუთი ათასიან ნიშნებს, რომლებიც უდრიდეს რამდენიმე ათი ათას მანეთს? როგორ დათვლით მათ და, დაბოლოს, როგორ გადაიტანთ ერთი ადგილიდან მეორეზე? ყველაფერი ეს ძალიან ძნელია, ხოლო სხვა საშუალება დღევანდელ პირობებში არავის არ აქვს. ერთი შეხედვით ძალიან მარტივი პასუხი ზემოდ დაყენებულ კითხვებზე იქნებოდა კუპიურების გადიდება; მაშინ ჩვენ ხუთი ათასიანი კუპიურების მაგივრათ გვექნებოდა კუპიურები ხუთ, ათ და ოცდახუთ მილიონიანი, რომელთა საშვალებით გაცვლებით უფრო ადვილი იქნებოდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის წარმოება. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ კუპიურების გადიდებასთან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ემისიის გადიდებაც, **ხოლო ემისიის გადიდებას კი ყოველთვის თან სდევს ფულის თითეულ ცალკე ერთეულის საცვლელ ღირებულების შემცირება**. გაურბოდით რა ამ უკანასკნელ გარემოებას, ჩვენ ვერ ვბედავდით და ვერ ვბედავთ აქამდე კუპიურების გადიდებას, მაგრამ ფულის ტრიალის გასაადვილებლათ მაინც აუცილებელია ფულის უფრო მსხვილი ერთეულები. საიდან ვიშოვოთ ესენი?

ფინანსთა კომისარიატი ფიქრობს მიმართოს ასეთ საშუალებას. მიანდოს მსხვილი კუპიურის გამოშვება არა სახელმწიფოს, არამედ სახალხო ბანკს. სახალხო ბანკი გამოუშვებს ნიშნებს ას, ხუთასი ათას, მილიონ და ხუთი მილიონის აღნიშვნით. სახელმწიფო არავის არ აიძულებს მიიღოს ეს ნიშნები ფულის მაგივრათ—მას აიღებს მხოლოდ ის, ვინც ენდობა სახელმწიფო ბანკს და დარწმუნებულია, რომ ის გადაუხურდავებს მას ყოველ წუთში ამ ნიშნებს არსებულ სახელმწიფო ფულზე. სახალხო ბანკი კი მისცემს შეძლებას ყველას გადასცვალოს ფული ამ ნიშნებზე და, პირიქით, ნიშნები ფულზე. თქვენ მიგაქვთ სახალხო ბანკში ორ მილიონიანი ბონი, რომელიც ძლივს ეტევა დიდ ტომარაში, და სახალხო ბანკი იძლევა მის მაგივრათ ოცს ხუთ მილიონიან ნიშნებს, რომლებიც შეგიძლიათ თქვენ ადვილათ ჩადოთ პორტფელში და წაიღოთ სადაც გსურთ; ხოლო მან, ვინც მიიღო ეს ოცი ხუთი მილიონიანი ნიშანი, შეუძლია წარადგინოს ის სახელმწიფო ბანკის რომელიმე განყოფილებაში, რომელიც ვალდებული იქნება გადაცვალოს ის ფულზე (წვრილი კუპიურები) ყოველ წუთში. ასეთი პროცედურა არ ამრავლებს არსებული ფულების რაოდენობის რიცხვს და მაშასადამე არ ცემს მათ საცვლელ ღირებულებას, ხოლო ამავე დროს კი შეძლებას იძლევა ტეხნიკურის მხრივ ადვილათ ატრიალოს ძალიან დიდი თანხები, რაც შესამჩნევათ ააღვილებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ხალხის ნდობისა სახალხო ბანკისადმი, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, სახალხო ბანკის მიერ ამ ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებაზე იქნება დამოკიდებული ამ ნიშნების წარმატება და ნაყოფიერება, რომელთა ობიექტიურ აუცილებლობაში საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის არავის არ შეუძლია ეჭვის შეტანა.

ა. ხვანიძე.

წითელი პრესა

ჩვენი „ეროვნული“ ინტელიგენცია.

იმ დაუმსახურებელი შეხვედრის გამო, რომელიც მოუმზადა ჩვენ დამსახურებულ მსახიობს, ეფემია მესხს, მისი იუბილეს დღეს, ჩვენმა „ეროვნულმა“ ინტელიგენციამ, **ამხ. თედო ღლონტი** სწერს „ტრიბუნა“-ში სხვათა შორის შემდეგს:

ეფემია მესხი 40 წელიწადი ლაპარაკობდა და იბრძოდა იმ ენით, რომელსაც რუსი შავრაზმელები ძაღლის ენას უძახოდნენ, იგი 40 წელიწადი ეწეოდა ქრონიკულ სიმშილს, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი გრძნობებით, თავისი განცდით, ხელოვნებით, უანგარო შრომით შეექმნა ქართული თეატრი, თავი მოეყარა ქართველ ხალხის ძალებისათვის და ერთი აზრით გაქლენთილი დაეპირისპირებია იგი ჩვენი მტრებისა და შავი ძალებისათვის.

კვირა დილას ტფილისის ალმასკომმა თავის ბაღებში დაანზადა უმშვენიერესი ყვავილების ცოცხალი თაიგული, რომელიც ალმასკომის სახელით უნდა მიეძღვნა იუბილიარისათვის ამხან. მაჩაიძეს. მე ვფიქრობდი რუსთველის თეატრი სავსე იქნებოდა ყვავილებით, ყმაწვილებით, ინტელიგენციით, სურაოებით... ვფიქრობდი. რომ კვირა საღამო იქნებოდა საღამო სიამოვნების, სიხარულის, სიცილის, ჟრიამულის, მილოცვების, დღესასწაულის...

ნამდვილად კი საშინელი სიცივე, საყინულე, სიცარიელე, უაზრობა, უგულობა, დაუდევრობა, არამზადობა, სიწამხდრე და ქარაფშუტობა.

ცარიელი თეატრი, არც ერთი ყვავილი, არც ერთი ახალგაზდა, არც ერთი ნიშანი სიხარულის, დღესასწაულის. ეს საღამო ჩვენთვის ნამდვილი წყევის საღამო იყო. იგი სავსებით დამახასიათებელია ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენციის, რომელსაც ეროვნული ცხოვრების სიყვარული ყელზევით უკიდია, ხოლო საქართველოს საკითხებს ხედავს არშინ მალ ალანებში, ნაცვლად ნამდვილი ეროვნული ძალების სიყვარულისა და სამსახურისა.

რომ შემძლებოდა, ამ ნაცარქექია ინტელიგენციას, რომელსაც თითქოს ძვალ რბილში გაუჯდა საქართველოს სიყვარული, შევკონავდი ერთ დიდ გროვად და ეროვნულ სირცხვილის ლაფში ამოვსვრიდი მისი გაბახებისათვის. დარწმუნებული ვარ, ესეც ძალიან ცოტაა ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენციისათვის.

ეფემია მესხის იუბილე ერთი კვირით გადადევს. სულით, გულით, მთელი ჩვენი არსებით თანაუგრძნობთ ქალბატონ ეფემიას. ჭეშმარიტად, თქვენ არა ხართ ღირსი ჩვენი დაკნინებული საზოგადოებისა. ვიცით, თქვენთვის ეს ერთი კვირა ნამდვილ ტანჯვის კვირა იქნება მაგრამ გწამდეთ: თქვენთან არიან საქართველოს ის შვილები, რომელნიც საქართველოს საკითხებს არ ახურდავებენ იაფფასიანი საღამოებით და რომელთაც თქვენთვის მოაქვთ ხელუხლებელი ცოცხალი ყვავილები,—ეს სიმბოლო განახლებული, აღორძინებისათვის განწმადილი საქართველოსი.

ჰოი, სირცხვილო!!

(ეფ. მესხის იუბილეს გამო)

ქართული სცენა დიდის ამბით ემზადებოდა 14 ამ თვისათვის. ამ დღეს ქართველ საზოგადოებას უნდა გაეკეთებია მცხოვანი მსახიობის ეფ. მესხის სასცენო მოღვაწეობის ჯამი და მით პატივი ეცა მისთვის. რუსთაველის თეატრი მიწყობილი და მომზადებული იყო ღირსეულათ აღენიშნა ეფ. მესხის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. ეფ. მესხი—ეს ჩვენი სცენის ერთი თვალსაჩინო მსახიობთაგანია, რომელიც სასცენო მოღვაწეობის ეკლიან გზაზე 40 წ. განმავლობაში დაუღალავათ და შეუპოვრად ებრძოდა ათასგვარ დაბრკოლებებს. ეფ. მესხის ქართული სცენისა და საზოგადოებისადმი ღვაწლი არ შეიძლება ამოიწუროს ერთი წერილით. არ შეიძლება, რადგანაც მას მეტის-მეტად დიდი შრომა და თავგანწირვა მიუძღვის ჩვენი სცენის აყვავებასა და საზოგადოების გათვითცნობიერებაში. 40 წ. შეუწყვეტელი და დაუღალავი მუშაობა და ისიც სასცენო ასპარეზზე—ეს ხომ იშვიათი და არა ჩვეულებრივი მოვლენაა განსაკუთრებით ჩვენში. ასეთ ადამიანებს, როგორიც არის ეფ. მესხი, მადლიერი საზოგადოება ყოველთვის ღირსეულათ უნდა აფასებდეს. და ჩვენც გვეგონა, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა მის იუბილეს.

მაგრამ მოვტყუვდით. „ქართველმა „მამულიშვილებმა“ როგორც ყოველთვის ამ დღესაც დაივიწყეს თავისი ვალი და დაივიწყეს ეფ. მესხიც. რუსთაველის თეატრი საიუბილეო კომისიას ცარიელი დახვდა რის გამოც იუბილე სხვა დროისთვის იქნა გადადებული. ეს გარემოება კი საუკეთესო ილიუსტრაცია იმ ჯურის ხალხის დასახასიათებლად, რომელიც ენას ისე არ მოიბრუნებს რომ ქართველი და ქართული არ ახსენოს.

— რა მოხდა, რაშია საქმე? ნუ თუ ეფ მესხი პატივის ცემის და ყურადღების ღირსი არ იყო?! არა მკითხველო! იმ დღეს, ზემოთ აღნიშნულ ჯურის ხალხს არ ეცალა ეფ მესხისათვის, რადგანაც ის უფრო „დიდი პოლიტიკური“ საქმეებით იყო გატაცებული მან მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს, რათა დოლიძის ახალი ოპერა „ლეილა“, რომელიც სწორეთ ეფ. მესხის იუბილეს დღეს მიდიოდა სახაზინო თეატრში, მქუხარე ტაშით და ოვაციებით შეხვედროდენ. „ლეილა“ ისტორიული წმინდა შოვინისტური დრამაა, რომელიც ხატავს ისტორიულ მტრობას და შურის ძიებას ქართველებსა და ლეკებს შორის. ლეკების თავადის ქალი და საქართველოს მეფე ერეკლე—აი ორი შეურიგებელი მტერი. მარცხდება „ლეილა“, იმარჯვებს ერეკლე და ამ გამარჯვებაში თბილისის ქართველი საზოგადოება (სახეში მყავს, რა თქმა უნდა, ზემო ნაჩვენები ჯურის ხალხი) ხედავს რაღაც უცნაურ თავის მორალურ გამარჯვებას. მეფე ერეკლეს ერთი გამოჩენა თუ გინდ სრულიად უხმოდ იწვევდა ნაჩვენები ჯურის მაყურებლებში მქუხარე და დაუსრულებელ ტაშის ცემას. ამ ოვაციების მომწყობნი და სულის ჩამდგმელნი იყვნენ მენშევიკები და დამყაყებული მემარჯვენე ფედერალისტები. მე თითონ შევხედე ზოგიერთ მენშევიკების პარტიის ლიდერებს, ისტორიის ჩაბარებულ დამფუძნებელი კრების წევრებს, რომლების აღფრთოვანებას მეფის გამოჩენის დროს საზღვარი არ ჰქონდა, მით უარესი მათთვის. ეს დამამტკიცებელია მათი გაბრაზებული პარტიული სისუსტისა. დაგვილოცნია მათთვის ყველა განსვენებული და აწ გასასვენებელი ქართველი თუ არა ქართველი მეფეები.

საოპერო თეატრი იმ დღეს გაჭედილი იყო ხალხით, ეფ. მესხის იუბილე კი არ შედგა. საქართველოს მეფეების მოგონება მენშევიკ-ფედერალისტებისათვის უფრო სანეტარო ყოფილა **გარკვეული** პოლიტიკური მიზნით, ვინემ ჩვენი ცნობილი ხელოვანის, ეფ. მესხის სახელი და პატივისცემა.

ჰოი, სირცხვილო!!

განვინი.

საყვარელ მეგობარს

დაგვიანებული მშვიდობით!

სწორედ ერთი წლის წინ მშვენიერ მაისს ქ. ქუთაისში დავკარგეთ საუკეთესო და მარადის დაუვიწყარი ამხანაგი აკაკი დალაქიშვილი, პარტიის ძველი წევრი, დაუღალავი მუშაკი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე ადამიანი, სასიქადულო მეგობარი. და აი სწორედ ერთი წლის შემდეგ იმავ მშვენიერ მაისს საქართველოს კომუნისტური პარტია ეთხოვება სამუდამოთ ქუთაისის მეორე საუკეთესო ამხანაგს—ნიკო ვაშაყმაძეს, აგრეთვე პარტიის ძველ წევრს, დაუღალავ მებრძოლს, მუშათა კლასის საუკეთესო შვილს და მოამაგეს, რევოლიუციონური სინიდისის, პატიოსნების და თავდადების განსახიერებას.

ტკბილი მოგონება—მწარე სინამდვილე!!

ჩვენ ექვსნი ვიყავით:—

აკაკი, ნიკო, დათიკო, ილია, სანდრო და მე.—ერთი „კომუნის“ გაუთიშველი წევრები მენშევიკების საპყრობილეში.

ერთი იყო ჩვენი ფიქრი, ჩვენი აზრი, ოცნებები და მომავლის პერსპექტივები. ხშირად ვნატრულობდით: მხოლოდ ერთი დღე საბჭოთა საქართველოს ხილვისა, მხოლოდ,—მერმედ თუ გინდ სიკვდილიც, საშინელი წამებიც ჩვენი, გარეთ მყოფ ამხანაგების ხშირი მარცხების, მენშევიკთა ადმინისტრატორების ჩვენდამი ჯალათური მოპყრობის, დაცინვის, სიმშილობის დაუვიწყარი წუთები—ყოველივე ეს იჩრდილებოდა—გაუტეხი, დაუღალავი, გაჭედებული რწმენით.—

ჩვენ გავიმარჯვებთ..

და ეს ჩვენ გვჯეროდა, გვწამდა; გვწამდა, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით, რომ კომუნიზმის დროშა გამარჯვებით აფრიალდებოდა იქ, სადაც ერთ გმირ ვაჟკაც - რევოლიუციონერის მიერ ფარულად აწეული წითელ დროშას ყვითელი „სოციალისტები“ სცვლიდნენ ყვითელი დროშით...

ჩვენი ნატვრა, სისხლით შეღებილი და ოფლით დანამული, ასრულდა; ოცნება სინამდვილედ იქცა და რწმენამაც არ გვიღალატა...

რევოლიუციის ტალღებმა შორს, შორს გადალეკა თავისი მოღალატე შვილები და პატარა საქართველოც გათბა იმ ცხოველმყოფელ სხივებით —რომლებიც დაუვიწყარ 25 ოქტომბრიდან უკვე ათბობდნენ თვალუწვდენელ რუსეთს.

ყველანი საქმეებში ჩავებით: ზოგნი სად და ზოგნი სად.. პირადი მეგობრობა, სიყვარული მიიჩრდილა, მიიმალა—გერევნულათ მაინც..

მას შემდეგ გაიარა ერთმა წელმა და ორმა თვემ.

ექვსიდან მხოლოდ ოთხნი დავრჩით.

აკაკის დაღუპვის წლის თავზე—დავკარგეთ ნიკო, ჩვენი კარგი, დაუფასებელი მუშა ნიკო.

როდესაც სანდრომ, ცაგერში სვანეთიდან დაბრუნებულმა, მითხრა: იცი, ვალია, ნიკო მოკლეს, ჩვენი ნიკო!—მე ჯერ ვერ გავიგე, ვერ მივხვდი. და როდესაც გავიგე—ტირილი არ დავიწყე, ვერც დავიწყე. მხოლოდ აკანკალებულ თითებში კიდევ უფრო მეტი სისუსტე ვიგრძენი და გულში, შიგ გულში, რაღაც, ალბათ წაუშლელი სიკვდილამდე, სევდა გამიჩნდა.

ნიკო ვაშაყმაძე ერთი იმათგანი იყო, რომლებიც „აკეთებენ“ რევოლიუციას, რომელთათვის რევოლიუცია ყველაფერია, მშობლიური სტიქიაა, ისინი აძლევენ რევოლიუციას ცეცხლს, სულს; მხოლოდ მათზედ მაგრდება რევოლიუცია გაჭირვების წუთებში; უმათოთ რევოლიუცია წარმოუდგენელია—როგორც გაზაფხული უმაისოდ.

რევოლიუციის სამსხვერპლო უმთავრესად მათ იცნობს...

ცრემლებით ტირილი მათთვის დაგვითმია ვინაც ცრემლებთან ერთად სწურავს დაღუპულის ხსოვნასაც, ვისთვისაც ეს უკანასკნელი ისევე შრება, როგორც თვით ცრემლები ღაწვებზე...

სიყვარული, ამხანაგის მეგობრული სიყვარული, უსაზღვრო და უძირო და მას ვერავითარი ცრემლები ვერ აავსებენ...

მხოლოდ შეიკუმშება განაწამები გული და ბუნებრივი მიმდინარე სიცოცხლის. დღეებს რაოდენიმე დააკლდება.

აუცილებლივ გადიდდება ბოღმა და სიძულვილი მათდამი, ვისი წინააღმდეგ ბრძოლაში თავი დასდო დაღუპულმა.

ნუგეში ერთი გვაქვს: ნიკოს სიკვდილი ისტორიის მხოლოდ ერთი და შედარებით პატარა უსამართლობაა: მას ასეთი უსამართლობანი ბევრი აქვს. და ამ ისტორიის უსამართლოების წინააღმდეგ ბრძოლაში დეე დაიფაროს ნიკოს სიკვდილიც..

მსოფლიო ბრძოლა სამართლიანობის გასამარჯვებლად წარმოებული, კიდევ ბევრ მსხვერპლს შეიწირავს. ერთი ასეთი მსხვერპლთაგანი ამხანაგი ნიკოც შეიქნა.. რა უყოთ!

ჩვენ მზად ვართ მომავალშიაც გავიღოთ ასეთი მსხვერპლები.

შეკუმშული ტუჩებით, მხოლოდ ერთზე მეოცნებენი, ფოლადის რიგებით,—ჩვენ ვვლით წინ..

დაღუპულ ამხანაგების ცრემლებს შეუბრალებლად გადავაბიჯებთ.

ცრემლებს თვალებშივე ჩავიშრობთ და ახალ მსხვერპლებზე მზად მყოფნი გზას, ისტორიულად ჩვენთვის დასახულს, განვაგრძობთ მედგრათ, უყოყმანოთ..

ნიკოს საფლავი ყვავილებით არ შეიმკობა—და მეგობრების ცრემლებით არ დაინამება..

ჩვენ არა გვაქვს ამის დრო და მოცალება...

ჩვენ ვიცით, რომ საუკეთესო ყვავილები და სასიამოვნო ცრემლები მისთვის მის საფლავზე იქნება სრულ გამარჯვებამდის მიტანა იმ დროშისა, რომლის წითელ ფერში მის სისხლსაც აქვს წილი...

უკანასკნელი მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო და საყვარელო ამხანაგო ნიკო...

გ ბახტაძე.

კონფერენციები აღმოსავლეთში

ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის კონფერენცია.

ტფილისი. 17 მაისი. 9 მაისს შესდგა მორიგი (მეშვიდე) სხდომა ამიერ კავკასიის და ოსმალეთის კონფერენციის სავაჭრო სატრანსპორტო, საკონსულო, იურიდიული, რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის კომისიების. სამი თვის დიდი მუშაობა სრულდება. ამ კომისიების ნამუშევარი წარედგინება საბოლოო სანქციისათვის პლენარულ სხდომებს. ამგვარად, შეგვიძლია ვიფიქროდ, რომ ახლო მომავალში ყველა საკითხები—ეკონომიური, ფინანსიური და სხვა, რომლებიც ოსმალეთსა და ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებულ ყარსის მეგობრულ ხელშეკრულებიდგან გამომდინარეობენ, მოწესრიგებული იქნება შესაფერი აქტებით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ხელშეკრულებანი და კონვენციები განამტკიცებენ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ამიერ-კავკასიის და ოსმალეთ შორის და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღება იმ უთანხმოებას, რომელიც ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკით იყო გამოწვეული აღმოსავლეთში.

ამიერ კავკასიის და სპარსეთის კონფერენცია.

ტფილისი. 17 მაისი. 7 მაისს შესდგა პლენარული სხდომა ამიერ-კავკასიის და სპარსეთის კონფერენციისა, რომელიც დიდი ხნით შეწყვეტილი იყო სპარსეთის დელეგაციის ცენტრალურ მთავრობასთან დამოკიდებულების სიძნელის გამო. ორთავე დელეგაციებმა დანიშნეს კომისიები მეგობრულ ხელშეკრულების შეერთებულად გამოსამუშავებლად.

მეგობრულ ხელშეკრულების საფუძვლად დადებულ ძირითად პრინციპების მიღების შემდეგ, დანიშნეს კომისიები სავაჭრო, სატრანზიტო და სხვა ხელშეკრულებების და შეთანხმების გამოსამუშავებლად.

გენუის კონფერენცია

რუსეთის პრობლემა

მოქმედების გეგმა.

გენუა. 16 მაისი, (იტალიის რადიო). წარმომადგენლები იმ სახელმწიფოებისა, რომელთაც მოიწვიეს კონფერენცია და აგრეთვე პოლონეთის, რუმინიის, შვეციის და შვეიცარიის წარმომადგენლები 15 მაისს დილით ხელახლა შეიკრიბენ ფაქტას თავმჯდომარეობით მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად რუსეთის საკითხში რუსეთის დელეგაციის პასუხთან დაკავშირებით 2 მაისის მემორანდუმზე.

ჩიჩერინის პროტესტი.

გენუა. 16 მაისი, (იტალიის რადიო). ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლების სხდომაზე რუსეთის საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა ჩიჩერინის წერილი, რომელიც მიიღო 15 მაისს ღამით კონფერენციის თავმჯდომარემ. თავის მხრივ შანცერმა გადასცა კრებას საუბარი, რომელი მოხდა შანცერის, კონფერენციის თავმჯდომარის და ჩიჩერინის შორის 15 მაისს დილით. იმათ მიუთითეს ჩიჩერინს, რომ მის მიერ წამოყენებული დებულებები და პროტესტები უსაფუძვლოა.

გენუა. 16 მაისი, (იტალიის რადიო). იტალიის დელეგაციამ გადასცა პრესას მთელი რიგი განცხადებებისა, საიდანაც სჩანს, რომ ჩიჩერინის წერილთან დაკავშირებული ინციდენტი შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად იმ განმარტებების შემდეგ, რომელიც მოხდა კომისიის სხდომაზე და იმ ლაპარაკის შემდეგ, რომელსაც ჰქონდა ადგილი ფაქტას, შანცერის, ლოიდ-ჯორჯის და ჩიჩერინის შორის. ყველა ამ განმარტებების შემდეგ ჩიჩერინის პროტესტი შეიძლება ჩაითვალოს ისე თითქოს ის სრულიადაც არ ყოფილიყოს, რადგანაც რუსები შერეულ კომისიაში ისარგებლებენ თანასწორი უფლებებით ყველა სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

მდგომარეობიდან გამოსვლა.

გენუა. 16 მაისი (იტალიის რადიო) ნეიტრალურ სახელმწიფოების და აგრეთვე იმ ქვეყნების დელეგატების კრებაზე, რომლებმაც მოიწვია კონფერენცია, გამოქვეყნებულ იქნა წინადადებები, რომლებშიდაც შეთანხმდენ კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების წარმომადგენლები 14 მაისის სხდომაზე დე—ალბერტის სასახლეში. ეს წინადადებები შეიცავენ ორი კომისიის დაარსებას, რომლებიდანაც ერთი შესდგება რუსეთის დელეგატების გარეშე და მეორე -რუსი დელეგატების მონაწილეობით. ორივე კომისია უნდა შეიკრიბოს ჰააგაში 26 ივნისს რუსეთის საკითხის შესწავლის განახლების მიზნით ე. ი. სესხების, კერძო საკუთრების და ვალების საკითხების შესასწავლად.

ჰააგის კონფერენცია

პარიზი. 16 მაისი (საფრანგეთის რადიო რუსეთის საქმეების კომისიამ მიიღო ნოტის პროექტი ჰააგაში ივნისში განსაკუთრებულ ექსპერტთა კომისიის მოწვევის შესახებ რუსეთის საკითხების განსახილველად. ეს ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ ამერიკის მთავრობა გამოგზავნის ჰააგაში თავის წარმომადგენელს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. სამშაბათს ელიან პასუხს საბჭოთა დელეგაციიდან.

ბორდო. 16 მაისი (საფრანგეთის რადიო). კონფერენციის თავმჯდომარე წინადადებას მისცემს გენუის კონფერენციის საერთო კრებაზე სახელმწიფოს წარმომადგენლებს გამოაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ჰააგაში 15 ივნისისათვის. წინასწარ სხდომებზე უნდა გაირჩეს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ეხება მუშაობას რუსეთის საკითხების გადაჭრაში.

ბორდო, 16 მაისი (საფრანგეთის რადიო). დადგენილია გაუგზავნონ ოფიციალური მოწვევის ცნობა წინადადებით ამერიკის მთავრობას, რომ მიიღოს მონაწილეობა ჰააგის კომისიის მუშაობაში.

კონფერენციის გადადება

ბერლინი, 16 მაისი (გერმანიის რადიო). ლოიდ ჯორჯის და ბარტუს წინადადებით 2—3 დღის შემდეგ გამოცხადებული იქნება, რომ გენუის კონფერენცია გადადებულია სექტემბრისათვის. ეს დადგენილება გამოტანილია იმ სახელმწიფოების წარმომადგენლების სხდომაზე, რომლებმაც მოიწვია კონფერენცია.

ლოიდ ჯორჯის გამარჯვება.

ნაუენი, 16 მაისი (გერმანიის რადიო). ლონდონის პრესა კმაყოფილია გამოძებნილი კომპრომისით, რომელიც წამოაყენა ლოიდ ჯორჯმა და რომლითაც მან გაუწია დახმარება მასებს, რომლებსაც სურთ ნამდვილი მშვიდობიანობა.

კარგად იცინის ის, ვინც უკანასკნელად იცინის.

ნაუენი, 16 მაისი (გერმანული რადიო). პარიზის პრესა სიხარულით აცხადებს, რომ კომპრომისი, კონფერენციის გადადების სახით, არის საფრანგეთის თვალსაზრისის გამარჯვება. მიუხედავად ამისა „პტი ჟურნალ“, განწყობილია სკეპტიკურად და აღნიშნავს, რომ ასეთი ნახევრობ გადაწყვეტილება, როგორც არის გადადება, ამტკიცებს იმას, რომ ანტანტის ურთიერთობაში და საზოგადოდ დიდი სახელმწიფოების ურთიერთ დამოკიდებულებაში თავი იჩინა სერიოზულმა განხეთქილებამ.

ჰააგის კონფერენციის შემადგენლობა.

ნაუენი, 16 მაისი (გერმანული რადიო) ივნისის შუა რიცხვებში მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოებმა უნდა გააგზავნონ—პირველმა ორ-ორი და ნეიტრალურ სახელმწიფოებმა თითო დელეგატი რუსეთისა და ამერიკის დელეგატებთან ერთად სამი საექსპერტო კომისიის მოსაწყობად, რომელსაც მიანდობენ მოახდინოს გამორკვევა ან საიდუმლო შემუშავება რუსეთის ვალების და კერძო საკუთრების პრობლემისა.

გერმანიას და რუსეთს მოიწვევენ კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. რუსეთის დელეგატებს მიეცემა წინადადება, რომ წამოაყენონ ყველა საჭირო განმარტებები წამოყენებულ წინადადების თანახმად. იმ სახელმწიფოთა მთავრობებმა, რომელნიც თავისი წარმომადგენლების საშუალებით, მონაწილეობას მიიღებენ ჰააგის კონფერენციაში, არ უნდა დასდონ საბჭოთა რუსეთთან ოთხი თვის განმავლობაში არც პოლიტიკური და არც ეკონომიური შეთანხმება.

გენუის ზოგიერთი შედეგები

გენუა. 16 მაისი (იტალიის რადიო) იმ სახელმწიფოთა დელეგატებმა, რომელნიც მონაწილეობენ გენუის კონფერენციაში, უნდა მოაწერონ ხელი გენუაში შეთანხმებას, რომლის ძირითადი პუნქტები მდგომარეობს შემდეგში: 1) არ უნდა იქნას დადებული სეპერატიული შეთანხმებანი, 2) თავი შეიკავონ ყოველგვარ თავდასხმებისაგან იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა შეთანხმებას. 3) თავი შეიკავონ პროპაგანდისაგან, ეს პუნქტები მიღებულია შანცერის ზოგადი განმარტების შემდეგ ბელგიის და საფრანგეთის დელეგაციებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებას მიიღებს რუსეთის დელეგაცია, კომისიები თავის მხრივ ურჩევენ თავის მთავრობებს შეუერთდენ აგრეთვე ამ შეთანხმებას.

რომი. 16 მაისი (იტალიანური რადიო). 16 მაისს პირველი კომისიის ქვეკომისიამ წინადადება უნდა მისცეს რუსეთის დელეგაციას შეთანხმების პროექტის დაუყონებლივ მიღების შესახებ. სხდომაზე მოწვეულნი არიან რუსეთის დელეგატები. ბარტუ და კასპარი, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს 2 მაისს მემორანდუმს, სხდომაზე არ არიან მიწვეულნი, ორივე დელეგაციებმა განაცხადეს, რომ საფრანგეთი და ინგლისი დადებითად უყურებენ აღნიშნულ შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ და მზად არიან მიიღონ ის სავსებით. იმ შემთხვევაში თუ ამ შეთანხმებას მიიღებს რუსეთის დელეგაცია, საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციების მეთაურები მიმართავენ თავის მთავრობებს ტელეგრაფით თხოვნით, რომ მიეცეს მათ რწმუნება შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ, და დარწმუნებულნიც არიან იმაში, რომ სათანადო ნებართვა მიეცემათ მათ.

გენუა. 16 მაისი. იტალიის რადიო. შეთანხმების პუნქტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სეპერატიული შეთანხმების დადებიდან, ეხება მხოლოდ იმ საკითხებს, რომელსაც შეიცავს ის პროგრამა, რომელიც რუსეთის დელეგატებთან ერთად განხილული უნდა იქნას ჰააგაში.

ბერლინი 16 მაისი. იტალიის რადიო. კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ რუსეთი, მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოების მსგავსად შეუერთდება შეთანხმებას წინასწარ დროებითი ზავის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთშორის საზღვრების ხელშეუხებლობას.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბჭოთა მთავრობის თანხები.

პარიზი. 15 მაისი. (რადიო). საბჭოთა მთავრობამ აღადგინა ფინანსიური ურთიერთობა უცხოეთის ბანკებთან. რეველის ბანკში მან შეიტანა მნიშვნელოვანი თანხა.

გერმანელი მუშები რუსეთში.

ბორდო. 15 მაისი. (რადიო) გერმანულ მუშათა ჯგუფი ჩავიდა რუსეთში; მათ განზრახვა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პეტერბურგის რაიონში პსკოვისა და ნირვის გზაზე ზოგიერთი რკინის გზის ხაზის აღდგენაში.

ჩინეთში.

ბორდო. 15 მაისი. (რადიო). ჩინეთში საბოლოოდ არ არის აღდგენილი წესიერება, თუმცა პეკინის რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლა უკვე განახლებულია, უკანასკნელი ცნობების მიხედვით მანჯურიის არმიამ ხელახლავ დაიწყო საომარი მოქმედება.

ამერიკა და ეგვიპტე.

ბერლინი. 15 მაისი, (რადიო) შეერთებულმა შტატებმა იცნეს ეგვიპტის სამეფო. მეფის წინადადება დიპლომატიური და საელჩო ურთიერთობათა აღდგენის შესახებ გადაეცა განსახილველად კონგრესს.

საფრანგეთ-ალბანიის ურთიერთობა.

ბორდო. 15 მაისი. (რადიო) საფრანგეთის მთავრობამ შესაძლებლად სცნო აღადგინოს ალბანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, სადაც უკვე დანიშნულია რწმუნებული საფრანგეთის მთავრობისა.

საფრანგეთ პოლონეთის ურთიერთობა.

ბორდო 15 მაისი. (რადიო). პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა 4 კონვენცია, რომელიც შეკრულ იქნა საფრანგეთთან: პოლიტიკური, კომერციული, სანავთო და კერძო საკუთრების შესახებ.

რეპრესიები ინდოეთში.

პარიზი. (რადიო). მოსული ცნობების თანახმად დაპატიმრებულ იქნა განდის შვილი, რომელსაც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის მიუსაჯეს წლინახევრის ციხე.

გერმანია და საფრანგეთი.

ნაუენი. 15 მაისი. (რადიო). გაზეთი „დეილი-ნიუზოს“-ის პარიზელი კორესპოდენტი გამოსთქვამს თავის აზრს, რომ მომავალი მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებისა გერმანიის ფინანსთა მინისტრ გერმესთან, დაარწმუნებს საფრანგეთს იმაში, რომ გერმანია მზად არის შეასრულოს თვისი ფინანსიური ვალდებულებანი. საფრანგეთის მოღვაწეთა სიტყვით, საფრანგეთმა რომ მიიღოს გერმანიისაგან კუთვნილი ვალის ნაწილი მაინც, ყველა დანარჩენ საკითხებში საფრანგეთი ანგარიშს გაუწევდა გერმანიის სურვილებს.

მორგანის წინადადება.

პარიზი. 15 მაისი. (რადიო). გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ცნობით მორგანი წინადადებას იძლევა გაიყვანონ რეინის რაიონიდან საოკუპაციო ჯარების უმრავლესობა, რომ ამით გერმანიას გაუადვილდეს კუთვნილი ვალების გადახდა. გარდა ამისა ნიუ იორკის და ჩიკაგოს ბანკირებმა სთხოვეს მორგანს მოითხოვოს, რომ საფრანგეთმა და ბელგიამ უარი სთქვან გერმანიის ოკუპაციაზე იმ შემთხვევაში თუ შეერთებული შტატები მიიღებენ თავდებობას გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის საქმეში, რომლის რაოდენობაც უდრის ერთ მილიარდ მარკას (ოქროთი).

ნავთი

ბერლინი. 15 მაისი (რადიო) კომპანია „სტანდარტ-ოილ კომპანი“ შევიდა ნობელის ფირმის კომპანიაში თანასწორი (მონახევრე) უფლებით.

ქვემო უდინის რესპუბლიკა.

ბერლინი. 15 მაისი. (რადიო). საბჭოთა სავაჭრო დელეგაციამ რომში განაცხადა, რომ დაარსებულ იქნა ქვემო-უდინის რესპუბლიკა, რომელიც ფედერატიულ კავშირში იმყოფება საბჭოთა რუსეთთან.

ფრანგი ჯაშუში.

ნაუენი 15 მაისი. (რადიო). გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აწარმოებს იმის გამოძიებას თუ რამდენათ ისარგებლეს მოკავშირე სახელმწიფოებმა ამას წინად დაჭერილ ჯაშუშ ანსპახის ცნობებით. ოფიციალური ცნობების თანახმად ანსპახს დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებდენ, რადგან მას სთვლიდენ საფრანგეთის აგენტათ გერმანიაში, მაგრამ მის დაპატიმრებას აყოვნებდნენ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო.

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება.

ნაუენი. 15 მაისი. (რადიო). ჩემბერლენმა ბირმინგამში ბანკეტის დროს განაცხადა, რომ ფაქტია ინგლის საფრანგეთის უთანხმოება და აზრთა სხვა და სხვაობა, მაგრამ იმედი გამოსთქვა, რომ ეს უთანხმოება ცუდ გავლენას არ მოახდენს ამ ორ სახელმწიფოთა მეგობრულ დამოკიდებულებაზე.

სესხი გერმანიისათვის.

ნაუენი. 16 მაისი რადიო. ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ პიერმონტ მორგანი, რომელიც ბანკირ კანთან ერთად გაემგზავრა ევროპაში, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საკონტრიბუციო პრობლემა იქამდის იქნას განხილული, სანამ გერმანიისთვის დადებენ პირობებს. ეს სესხი სის შემდეგ იქნება დადებული, როცა გამორკვეული და საბოლოოდ დადგენილი იქნება გერმანიის ვალდებულებანის საერთო თანხა, და ამ ვალდებულებათა შესრულების ფორმა. შესაძლებლად სთვლიან, რომ მოლაპარაკებანი ამ მხრით სერიოზულ გავლენას მოახდენენ საერთაშორისო ვალების საკითხის გადაჭრაზე.

ნაუენი. 16 მაისი. (რადიო). ნიდერლანდის სახელმწიფო ბანკის დირექტორს ჰქონდა თათბირი ჰოლანდიის ბანკირებთან ნიდერლანდების გერმანიისთვის საერთაშორისო სესხში მონაწილეობის მიღების შესახებ. ნიდერლანდებს შეუძლიათ შეიტანონ 100 მილიონი გულდენი.

აღმოსავლეთში.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ტრაპიზონი. 15 მაისი რადიო. 11 მაისს ანგორიდან მოსული ცნობებით ისკი-შეჰირის მიმართულებით მტერმა სროლა აუტეხა თავდაუცველ სოფელს. აფიონ კარა გისარის მიმართულებით სწარმოებს საჰაერო დაზვერვა.

ანგორა. 11 მაისი რადიო. ესკიშეხირის და აფიონკარა გისარის მიმართულებით ჩვენი ცეცხლით უკუგდებულია მტრის რაზმი, რომელიც ცდილობდა ჩვენ პოსტებთან მოახლოებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია

სხდომა პირველი

1922 წ., აპრილის 14-ს. სახელმწიფო ოპერის თეატრი.

(გაგრძელება*)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ეგოროვს (წითელი ჯარის უფროსს)

ეგოროვი. როგორც იქნა გენუას კონფერენცია გაიხსნა. იქ მივიდნენ ჩვენი წარმომადგენლებიც და თავისივე პირველ გამოსვლაში მათ აღნიშნეს, რომ ისინი იქ მივიდნენ არა როგორც დამარცხებულნი, არამედ როგორც სრულ უფლებიანი წევრნი კონფერენციისა.

დასავლეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მეთაურების ნამდვილი სურვილები და მიზნები მალე გამოაშკარავდენ. ლოიდ ჯორჯის განცხადება იმის შესახებ, რომ კონფერენცია დაამყარებს ხალხთა შორის მშვიდობიანობას და ზავს, დარღვეულ იქნა იმით, რომ უარყვეს ამხანაგ ჩიჩერინის წინადადება ხალხთა განიარაღების საკითხის დასმის შესახებ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აბა როგორ დათანხმდებიან ანტანტის წევრნი განიარაღებაზე. ეს ხომ მომასწავებელი იქნება ვერსალის ხელშეკრულების გაბათილებისა და ამით კი მათ აღარ ექნებათ შეძლება გერმანიის გაყვლეფისა. დასავლეთ ევროპაში ჩვენ ეხლა ვარჩევთ განიარაღებას კი არა—შეიარაღებულ ძალთა განვითარებას საბჭოთა ფედერაციაში კი ასეთ რამეს ადგილი არ აქვს, პირიქით ჩვენ ჯარის შემადგენლობა შევამცირეთ ოთხჯერ, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს არავითარი აგრესიული მიზნები. საბჭოთა მეცხრე ყრილობაზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჩვენთვის საჭიროა შეიარაღებული ძალა მხოლოდ ჩვენ დამოუკიდებლობის დასაცავად მოულოდნელ დაცემის დროისთვის. ამისათვის ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ვწვრთნიდით და ვასწავლიდით ჩვენ წითელ ჯარს და ეხლაც მეხუთე წელს წითელი ჯარის არსებობისა ჩვენ განვაგრძობთ მის წვრთნას და სწავლებას და თუ დასავლეთის იმპერიალიზმის წარმომადგენლები თავის შეიარაღებულ ძალას გამოიყენებენ იმისათვის, რომ დაარღვიონ საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენობა—მეხუთე წელი წითელი ჯარის წვრთნისა გადაიქცევა მეხუთე წლად მის სახელოვან გამარჯვებისა.

რაც შეეხება მეორე ინტერნაციონალის მოქმედებას და მის აგენტების გამოსვლას, მე მგონია საქართველოს მუშათა კლასი ამას ერთი ფრაზით გასცემს პასუხს—რომ ის მშრომელთა დიქტატურას არ გასცვლის მეორე ინტერნაციონალის ვაჟბატონების სამოთხისეულ დემოკრატიზმზე.

რაც შეეხება აგრეთვე იმ პროვოკაციას, ვითომც რუსეთის წითელმა ჯარმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, ამას შესაფერი პასუხი გასცა საქართველოს საბჭოთა პირველმა ყრილობამ. ლაპარაკი ოკუპაციაზე შეუძლებელია, ვინაიდან წითელი ჯარი არ არის კონგლომერატი რომელიმე განკერძოებულ ერისა, არამედ ის არის მთლიანი ინტერნაციონალური მუშათა და გლეხთა შეიარაღებული ძალა, რომელიც ხიშტით ხელში იცავს თავის უფლებას.

გაუმარჯოს მთლიან რევოლიუციონერ ფრონტს მშრომელი ხალხისა.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ ჯარს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. (ტაში) (უკანასკნელ სიტყვებს ქართულად ამბობს).

თავმჯდომარე. შემოვიდა ერთი რეზოლიუცია. იქნება კიდევ ვისმეს აქვს სხვა. არ არის. რეზოლიუციის ტექსტს მოგახსენებთ ამხ. მამულია.

მამულია. საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის კომფრაქციის სახელით წინადადებას ვიძლევი მიღებულ იქნეს შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმისა, ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებისა და ქალაქ ტფილისის გარნიზონის დელეგატთა გაერთიანებული სხდომა (1922 წლ. აპრილის 14-ს) მოისმინა რა მოხსენება ამხანაგ ფ. მახარაძისა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, გაერთიანებული სხდომა გულისწყრომით და აღშფოთებით აღნიშნავს საზღვარგარეთელ თეთრგვარდიელთა და ბურჟუაზიული ქვეყნების უკიდურეს იმპერიალისტურ წრეების ძალთა ახალ მობილიზაციას, რომელნიც ემზადებიან კიდევ ერთხელ სცადონ, გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით, დაამხონ მუშურ გლეხური ხელისუფლება, შიგნით და გარეშე ბანდიტური და კონტრრევოლიუციონერ გამოსვლების მოწყობით და შემდეგ კი შეიარაღებული თავდასხმითაც იმპერიალისტური ომით დატანჯულ და სიმშილით განაწამებ საბჭოთა ფედერაციაზე.

საერთაშორისო მტაცებლებს კვლავ სურთ აჯანყებისა და ომის ცეცხლის ალში გახვიონ ზავისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან შრომას მოწყურებული საბჭოთა რესპუბლიკები.

განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი აქცევენ ამიერ-კავკასიას და პირველ რიგში საქართველოს და მის ავტონომიურ ნაწილებს, რომელთა საშუალებითაც მტაცებლებს სურთ თავისი გასისხლიანებული კლანჭებით დაეპატრონონ ბაქოს ნავთს და შემდეგ კი აღმოსავლეთს, საბჭოთა რუსეთისა და იმპერიალიზმის უღლიდან განთავისუფლების გზაზე მყოფ ანატოლიისა, სპარსეთისა და შუა აზიის ხალხთა შორის კავშირის გასაწყვეტად.

იმპერიალიზმის და ემიგრანტ თეთრგვარდიელების იდეურ მებაირახტრეთ გამოდის საერთაშორისო მენშევიზმის გმირები მე 2-რე ინტერნაციონალისა, რომელნიც აწარმოებენ ევროპაში მოხმარებულ ცილისწამებით სავსე აგიტაციას, ითხოვენ რა ხალხთა დემოკრატიულ თვითგამორკვევის ფარისევლურ საბაბით, საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას, ე. ი. მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების განიარაღებას. რათა ფინანსიური კაპიტალი თავისუფლად დაეპატრონოს ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს და ხელახლა დაადვას მშრომელ ხალხს მონობის მძიმე უღელი.

ჩვენ აღვნიშნავთ ყველა ქვეყნის მუშებისა და გლეხების წინაშე ამ ვაჟბატონების ღალატსა და გამცემლობას.

საქართველოს მშრომელ ხალხს მუშურ-გლეხური ხელისუფლების ერთი წლის არსებობის განმავლობაში, არა ერთხელ გამოუმჟღავნებია მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ერთგულება საქართველოში დამყარებულ სახელმწიფოებრივ და სოციალურ წესწყობილების მიმართ.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების ორმა ყრილობამ, რომ არ ჩავთვალოთ თვითეული პროფესიონალური კავშირის ცალკე ყრილობები, სამაზრო, საოლქო და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატების ყრილობებმა საბოლოოდ დაადასტურეს და განამტკიცეს საბჭოთა რეჟიმი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელ ხალხისათვის არის ერთადერთი მისაღები რეჟიმი, დაუღალავი შრომით, მუშაობის ფრიად მძიმე პირობებში, ჩვენი მშრომელი ხალხი ცდილობს დააშუშოს სამეურნეო ცხოვრების პირგახსნილი ჭრილობები, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვა იმპერიალისტებისა და მათ ერთგულ მაახურთა—მენშევიკების რეჟიმმა.

ნაყოფიერი შრომისათვის საჭიროა ზავი და მშვიდობიანობა, ხოლო ამ ზავისა და მშვიდობიანობას არ გვანებებენ ჩვენი მტრები.

მაგრამ დეე იცოდნენ მათ, რომ ჩვენთვის, საქართველოს მშრომელთათვის აშკარაა მათი შავი ზრახვანი და მათ გაერთიანებულ ფრონტს, ჩვენ დაუპირდაპირებთ -წითელი შრომის ფრონტს, რომელიც აერთიანებს ამიერ-კავკასიის ხალხებს. ჩვენ გავითვალისწინეთ შრომის ფრონტის პოზიციები, ჩვენ გავამაგრდით და კვლავ განვაგრძობთ გამაგრებას, ჩვენ არ მივცემთ ბურჟუაზიულ კონტრ რევოლიუციას საშუალებას კვლავ დაბრუნდეს მენშევიკებისა, დაშნაკელებისა და მუსავატელების დაწყევლილი რეჟიმი, რომელიც ნიშნავს განუწყვეტელ ხოცვა-ჟლეტას ხალხთა შორის, მათი ანტანტის იმპერიალიზმისადმი დამონებასთან ერთად.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისაგან გაათკეცებულ სიფხიზლეს, ყველა ძალებისა და საშუალების მობილიზაციას თავდაცვის ორგანიზაციისათვის.

ჩვენ მოვითხოვთ დაუნდობელ ყოველგვარ ღონისძიებას შინაური კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ, თუ ისინი შეეცდებიან შიგნიდან კბენა დაუწყონ მშრომელი ხალხის სხეულს და მით ხელს შეუწყობენ იმპერიალიზმის სისხლიან მსვლელობას ამიერ-კავკასიის გზით.

და თქვენ კი, ჩვენო შრომისა, ბრძოლისა და საერთო საბჭოთა სამშობლოის ჩრდილოეთის ძმებო, თქვენ წითელ მოსკოვისა, პეტროგრადისა და მთლად მუშათა რესპუბლიკის მუშებო, თქვენ—აზერბეიჯანისა, სომხეთისა, დაღესტნისა და ჩრდილო-კავკასიის მშრომელნო, გქონდეთ ჩვენი რწმენა, საქართველოს მშრომელთა რწმენა; აქ, საბჭოთა ამიერ კავკასიის სანაპიროზე, ჩვენ—საქართველოსა, აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის მუშები და გლეხები ძლიერნი ბრძოლაში ნათელლების წყურვილით იმპერიალიზმის მტაცებლებისა და მენშევიზმის ტურების წინააღმდეგ, მხარ-და მხარ წითელ არმიელებთან ერთად მოვიგერიებთ კონტრ-რევოლიუციის იერიშს და ზღვაში გადავყრით ბანდებს, რომელნიც შეეცდებიან ხელი შეახონ მუშათა და გლეხთა თავისუფლებას.

სიკვდილი საერთაშორისო იმპერიალისტებს.

სიკვდილი მათ დამქაშებს.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას იმპერიალიზმის მტაცებელთა წინააღმდეგ.

გაუმარჯოს წითელ ხიშტს კაპიტალის სხეულის გამგმირავს.

გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას.

ნუცუბიძე (ადგილიდან). აქ სხვათა შორის, იყო ლაპარაკი იმ ინტერვიუს შესახებ, რომელიც მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელმა გაუკეთა თბილისის საბჭოს წევრს მემარცხენე ფედერალისტთა ფრაქციიდან. რამდენად ამას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და რამდენად ამ ინტერვიუს შინაარსი არ შეიცავს სიმართლეს მე მგონია გაერთიანებულმა სხდომამ თბილისის პროლეტარიატისა და საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებისა უნდა აღნიშნოს ამ განცხადების არა საფუძვლიანობა და დაგმოს მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლის გამოსვლა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ რეზოლიუციაში მის შესახებ დამატება უნდა იყოს შეტანილი.

თავმჯდომარე. იმის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხ. ორახელაშვილს.

ორახელაშვილი ამხანაგებო, მე მგონია, რომ ყოველი მოვლენა საჭიროა ჩავსვათ შესაფერ ჩარჩოში. ჩვენ შეგვეძლო გაკვრით შევხებოდით მოხსენების დროს ამსტერდამის წარმომადგენლის გამოსვლას, რამდენადაც ეს გამოსვლა დამახასიათებელია. მაგრამ რეზოლიუციებზე დამატების გამოტანა ამის შესახებ, მე მგონია მეტის მეტი პატივია ამსტერდამის ან და რომელიმე მის წარმომადგენლისთვის თუმცა მე არსებითად წინააღმდეგი არა ვარ ამხ. ნუცუბიძის დამატებისა, მაგრამ მე მგონია რომ ეს დამატება უადგილოა ამ რეზოლიუციის გვერდით და ბოლოში.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, გნებავთ თუ არა დამატებას კენჭი უყაროთ. (ამბები: არაა საჭირო. არაა საჭირო) სიტყვა ეკუთვნის ამხ. ღლონტს.

თ. ღლონტი. ამხანაგებო, როცა ამხ. ორახელაშვილმა თავისი სიტყვა დაამთავრა, ის შეეხო იულიუს ბრაუნტაილის ინფორმაციას. ეს ინფორმაცია რამდენიმედ ჩვენც შეგვეხება. პოლიტიკურად მოვალედ ვთვლი ჩემ თავს მცირეოდენი განმარტება მოგახსენოთ. იულიუს ბრაუნტაილი არის, ფორმალურად ყოველ შემთხვევაში, წარმომადგენელი ამსტერდამის ეგრედ წოდებულ ყვითელ პროფკავშირებისა. თვითონ ბრაუნტაილი თავიდანვე არ ყოფილა რედაქციისაგან მოწვეული. ის ეწვია რედაქციას მას შემდეგ, როდესაც ყველა უწყებებს ეცნობოდა, ცნობებს კრეფდა საქართველოს შესახებ. ჩვენ დაინტერესებულნი ვიყავით ცნობები მიგვეწოდებინა და ჩვენმა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა მიგვეცა ვრცელი წერილობითი მოხსენება საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ ვითარების შესახებ. ჩვენი მოხსენება უფრო ფართე საზოგადოებისათვის იქნება ცნობილი. ხოლო რაც შეეხება მის ინფორმაციას, ეს არის ტიპიური ამსტერდამის ინფორმაცია, მხოლოდ იმის განმარტება რომ საქართველოში მომხდარი საბჭოთა არჩევნები რედაქციას არ მიაჩნია კანონიერად ან ბუნებრივად ასეთი განმარტება ყოვლად დაუშვებელი და შეუძლებელია, ვინაიდან არავის ისეთი მხურვალე მონაწილეობა არ მიუღია ამ არჩევნებში, როგორც ჩვენ. ვართ ამ არჩევნების კანონიერი შვილები და ჩვენ გრძნობით და ენერგიით ვმუშაობთ და ეს კვალიფიკაცია ყოვლად შეუძლებელია. ამას პოლიტიკურად უარვყოფთ. ასეთი ინფორმაციებს სხვა მხრივაც ხშირად ჰქონდა ჩვენ გაზეთში ადგილი. ხშირად გვქონდა სალიტერატურო კამპანია გაჩაღებული. ამ ბრაუნტაილის შესახებ გაზეთი უკვე აწყობილია და ჩვენი აზრიც გამოთქმულია, და ამიტომ ნაჩქარევათ მიმაჩნია ამ ბრაუნტაილის ინტერვიუს ჩვენზე გავრცელება. ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნუსხოთ სასიამოვნო ფაქტი: თვით ეს ბრაუნტაილი არის წარმომადგენელი გერმანია ავსტრიის სოციალ დემოკრატიულ პარტიისა, რომელშიაც ხდება ერთგვარი ცვლილება არა მეორე ინტერნაციონალის სასარგებლოდ. როდესაც ავსტრია უნგრეთში მოქმედებდა არა ლეგალური მუშათა საბჭო, იქ მთავრობის მეთაურობით დაარსებულ იქნა ლეგალური დეპუტატთა და წითელ-არმიელთა და გლეხთა საბჭო წინააღმდეგ წითელ კავშირისა, მაშინ ავსტრიის და უნგრეთის სოციალ დემოკრატია ამ ლეგალურ კავშირს მხარს უჭერდნენ. შემდეგ ეს ევოლიუცია ვითარდება და უარყოფილ იქმნა ეს მთავრობის მიერ შექმნილი საბჭოები და უფრო რადიკალურ მიმართულებას ადგებიან, ჩვენ გამოვთქვამთ სიხარულს, რომ თუ ასეთი ევოლიუცია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაში სერიოზულად განვითარდება და გაძლიერდება რევოლიუციონური ფრონტი და ამის ნიშნები იყო ადლერის გამოსვლებში, იმედი გვაქვს, რომ სასურველი იქნება ასეთი მიმართულების განვითარება. ყველა ეს არ მოეხსენება ორახელაშვილს, არ მოეხსენება საზოგადოებას, რომელიც სჯის ბრაუნტაილის ინფორმაციას. პირველი ნომერი დაბეჭდილია, მეორე ნომერში დაიბეჭდება უარყოფითი მუხლები, მაგრამ იმის გაზიარება პოლიტიკურად რის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით, არც ამხ. ორახელაშვილსა სწამს. ეს მისი სიტყვის ნიუანსებიდან სჩანს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უფრო მედგრად გამოილაშქრებდა ჩვენ წინააღმდეგ ამ ინტერვიუს აზრს ჩვენ არ ვიზიარებთ, უარვყოფდით ყოფილ საქართველოს პოლიტიკას და უარვყოფთ მუდამ, სანამ ცოცხალნი ვართ.

თავმჯდომარე. სიტყვა განცხადებისათვის ეკუთვნის ამხ. ორახელაშვილს.

ორახელაშვილი. აქ ამხანაგმა სთქვა, რომ ჩემი განცხადება უსაფუძვლო იყო. გაზეთ „ტრიბუნის“ № მაქვს ხელში და წაგიკითხავთ—„როგორც „ტრიბუნის“ 188 №-ში იყო აღნიშნული თბილისში ჩამოვიდა ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის წარმომადგენელი ამხანაგი იულიუს ბრაუნტაილი და ვლადიმერ ქანდარელი და თან ჩამოიტანეს საქართველოს მუშებისათვის მედიკამენტები ჩვენის თხოვნით ამხ. ბრაუნტაილი რომელიც არის „ვენის მუშათა გაზეთის“ რედაქტორი, ხელმეორედ ეწვია ჩვენს რედაქციას და უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ავსტრიაში მუშათა კლასის მდგომარეობაზე. ინტერვიუს მეტად გულახდილი ხასიათი ქონდა“.

დიახ გულახდილი, ძალიან გულახდილი. აი, კიდევ მეორე ადგილს რას სწერს „ტრიბუნა“—„ავსტრიაში იციან, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და განაგებს მას ჩინოვნიკების საშუალებით, რასაც ჩვენ დიდ უსამართლობათა ვსთვლით, თუმცა „როსტამ (ე. ი. დეპეშათა სააგენტომ) გვაცნობა საქართველოს საბჭოთა არჩევნების შესახებ, მაგრამ ის არავის მიაჩნია მაინც სარწმუნოდ“.

აი ასეთი ცნობებით არის აღვსილი მთელი ინტერვიუ და მე მგონია უფლება მქონდა მეთქვა, რომ თუ კი ამას უსმენდნენ საბჭოთა ორგანოში სრულიად კანონიერად არჩეულნი და არჩევნებს თვლიან მოჩვენებად, მე მიძლია ვთქვა რომ შეიძლება ეს წევრებიც მოჩვენება იყოს. (ტაში).

(გაგრძელება იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 110.

გალაშქრება სტამბოლზე.

ანგორა. 10 მაისი. რადიო. კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობებით, ბერძნებმა გამოიმუშავეს კონსტანტინეპოლზე გალაშქრების გეგმა. ინგლისელებმა გაიყვანეს სტამბოლიდან ინდიური ნაწილები.

ანგორა და კონსტანტინოპოლი.

ანგორა. 10 მაისი. რადიო. „სკა მიეტი მილიე" აღნიშნავს რა ინტრიგანების გამცემლურ მოქმედებას წერს: ამ ინტრიგანებს უნდა ვუჩვენოთ თავისი ადგილი. მაღალ პორტას უნდა ახსოვდეს, რომ ანატოლია არის ავანგარდი, რომელიც იარაღით ხელში იბრძვის თავისუფლებისათვის. დე ლეოდენ დამატ-პერიტმა, ისედფაშამ და მულლი საბრიმ, რომ ოსმალეთი ხელისუფლებას მათ არ ჩააბარებს. ანატოლია თვით მოიპოვებს თავისუფლებას და დარჩება ქვეყნის ბატონ პატრონი.

მდგომარეობა ფრონტებზე

თბილისი. 17 მაისი. ანატ დიდი ეროვნული კრების სრულუფლებიან წარმომადგენელმა საქართველოში მუხტარ ბეიმ „კავროსტა"-ს კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ახალი ხმები საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე ბერძნების საერთო შემოტევის და ანგორის ჯარის მხრით დაწყებულ კონტრ-დაკვრის შესახებ, განაცხადა, რომ არავითარი ოფიციალური ცნობები ბერძნების შემოტევის და ოსმალეთის კონტრ შეტევის შესახებ მას არ მიუღია. ყოველ შემთხვევაში, ხაზ გასმით აღნიშნა მოქ. მუხტარ-ბეიმ, თუ რომ ბერძნები გაბედავენ შემოტევას, ოსმალური ჯარი სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს მათ. ოსმალეთის პოზიციები ეხლახან ფრიად გამაგრებულია და ასევე ჯარების სულიერი აღტყინება ჩინებულ მდგომარეობაშია.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა.

ანგორა, რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელმა ანგორაში ამხ. არალოვმა პარიზის გაზეთ „პტი პარიზიენ"-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: საბჭოთა რუსეთს და ოსმალეთს შორის ურთიერთობა დამყარებულია მეგობრობაზე ორ ხალხთა შორის და დამტკიცებულია მოსკოვის ხელშეკრულებით. პრაქტიკულად ეს დამოკიდებულება გამოიხატება კულტურულ, ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობაში. ორთავე მხარე სხვათა შორის უცვლიან ერთმანეთს მოსწავლეებს. რაც შეეხება საბჭოთა რესპუბლიკებს, უკრაინის და ამიერკავკასიისას ახალ ოსმალეთთან დამოკიდებულებას, ეს რესპუბლიკები დაკავშირებული არიან მოსკოვთან მჭიდრო კავშირით და ამიტომ ყველა კერძო ხელშეკრულებები, რომელიც მათ დადებული აქვთ ანგორასთან, შემუშავებულია მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით.

ახალმა რუსეთმა, სთქვა შემდეგ ამხ. არალოვმა, სრულიად შესცვალა პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც თავის დროზე სამართლიანად აწუხებდა ოსმალეთს. ამ შეწუხების მიზეზები მოისპო მეფის რუსეთთან ერად: მაშასადამე ჩვენს შორის არაფერი არ დარჩენილა ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა ჩვენი ორი ერის დაახლოებას, რომელიც დამყარებულია მეგობრობაზე მართალია, შეიძლება დაამყარო განსხვავება ოსმალეთს, რომელიც პირველ ყოვლისა ნაციონალისტურია, და საბჭოთა რუსეთს შორის, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს რაღაც უძლიერესი, სახელდობრ ჩვენი საერთო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ არასოდეს არ მოვიფიქრებთ ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. ჩვენ ძლიერ გამსჭვალულნი ვართ ხალხთა თვითგამორკვევის დიადი პრინციპით. დამოუკიდებელი ოსმალეთი თვით გაივლის ევოლუციის ეტაპებით. ეხლახან ის იბრძვის თავისი თავისუფლების მოსაპოვებლად და ამ მიმართულებით მას აქვს ჩვენგან სრული მორალური მხარის დაჭერა.

მე ეხლა დავათვალიერე ფრონტი და საშუალება მქონდა ჯარი მენახა. მე დარწმუნებული ვარ ახალი ოსმალეთი საკმაოდ ძლიერია, და შეუძლია წინააღუდგეს თავის ბატონებს. ჩვენ უსაზღვრო მადლობას უძღვნით ოსმალეთს იმისთვის, რომ გაჭირვების დროს, მან ერთად-ერთმა გამოგვიწოდა ძმური ხელი. რუსეთი არას დროს არ დაივიწყებს ამას. რუსეთს სურს დაეხმაროს ოსმალეთს რამდენადაც ხელს შეუწყობს ეკონომიური მდგომარეობა.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია

მოსკოვი. 15 მაისი (რადიო). 12 მაისს საღამოს 7 ნახევარ საათზე კრემლის სასახლის ანდრეევის დარბაზში გაიხსნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის მესამე სესიის პლენარული სხდომა. სასახლის ვეებერთელა ოქროთ მოვარაყებულ დარბაზში გამწკრივებულია წითელი მაუდით მოფენილი მაგიდები ცენტრალური აღმასკომის წევრთათვის. სპეციალურ მაგიდებთან სხედან დიპლომატიური წარმომადგენლები, რუსეთის და საზღვარ გარეთის პრესის წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილები დაიჭირეს დიდი ხნით წინ სხდომის გახსნამდე. პრესის წარმომადგენლების მაგიდების გარშემო გაცხოველებული კამათია. ისმის ფრანგული, ინგლისური და რუსული სიტყვები. ყოფილ მეფის ტახტის ადგილას პრეზიდიუმის ტრიბუნალია.

ოქტომბრის რევოლიუციის და რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის პატივსაცემლად დარბაზის დერეფნებში მოწყობილია გამოფენა სასახლის ყველა დარბაზები ღიაა სხდომის გახსნამდე ცენტრალურ აღმასკომის წევრები, მუშები და გლეხები ჯგუფ ჯგუფად დადიან დარბაზებში და ათვალიერებენ რუსეთის ყოფილ თვით მპყრობლების განცხრომის ადგილებს. ისმის სიცილი და ხმები: „ცხოვრობდით კარგად, მაგრამ ჩვენ ვიცხოვრებთ კიდევ უკეთესად."

სხდომას ხსნის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კალინინი მოკლე სიტყვით, რომელიც შეეხებოდა სიმშილობასთან ბრძოლას.

დამშეულთა სასარგებლოდ შემოწირულებების ციფრების გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა როგორც საზღვარ გარეთიდგან მიღებულის ისე მუშებისგან და გლეხებიდგან შემოსულ დახმარებებს, ამხ. კალინინმა, სხვათა შორის, აღნიშნა მეორე ინტერნაციონალიდგან მიღებულ დახმარების სიმცირე: 20 მილიონი. ხალხი ჰკვებავს მხოლოდ 94.000 დამშეულებს, აქედგან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მეორე ინტერნაციონალი ან არ გვეხმარება ენერგიულად ან მათ არ თანაუგრძნობს მუშათა მასა.

ამხ. კალინინის სიტყვის შემდეგ ამხ. ტროცკი კომფრაქციის სახელით წინადადებას აძლევს ცენტ. აღმასკომს შეიტანონ სესიის პროგრამაში შემდეგი საკითხები: გენუის კონფერენციის, მთლიან ნატურალურ გადასახადის, მიწის სასამართლოების და პურის, შინაური სესხის შესახებ. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. მორიგი კითხვაა საწუშაო მიწის სარგებლობის დეკრეტის პროექტის განხილვა.

13 მაისის დილის სხდომაზე მოისმინეს კანონ-პროექტი კერძო ქონების ძირითად უფლებების შესახებ, რომელთაც სცნობს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების კანონები და იცავს სასამართლოები. მომხსენებლად გამოვიდა იუსტიციის სახალხო კომისარი კურსკი.

„კანონ-პროექტს, აღნიშნა მომხსენებელმა, მიზნად აქვს გამოსახოს პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის ის კომპრომისი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკიდან. კანონის პროექტი გამოდის იმ ძირითად პრინციპიდან, რომ მიწაზე უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. ამის გამო კერძო პირების უფლება ვრცელდება მუნიციპალიზაციიდან თავისუფალ ქონებაზე. მაგრამ მიწები, რომელზედაც იმყოფება შენობა, შეიძლება იჯარით მიეცეს სახელმწიფოს. საკუთარი უძრავი ქონება შეიძლება იქნეს დაგირავებული და იჯარით გაცემული. მტკიცდება აგრეთვე საკუთრების უფლება ყოველგვარ მოძრავ ქონებაზე, საქარხნო, სავაჭრო-საწარმოო დაწესებულებებზე, იარაღებზე და საწარმოო პროდუქტებზე, ფულის კაპიტალზე, ოჯახურ საჭიროების ნივთებზე. სამეურნეო საშუალებებზე და სხ. კანონ პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმოჩენისუფლებას, საავტორო უფლებას, ნაანდერძევს და კანონიერ მემკვიდრეობის უფლებას. მემკვიდრეობის დარგში აუცილებელია რათა სწორად განისაზღვროს ის პირნი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება აქვს და აგრეთვე დაწესდეს პროგრესიული გადასახადი მემკვიდრეობაზე.

მეორე ნაწილი კანონ პროექტისა, შეეხება სავალდებულო უფლებებს, რომლებიც საჭიროა საწარმოო ძალების განსავითარებლად

აქ კანონის მიერ გათვალისწინებულია ყოველგვარი უფლებები ნებადართულ ქონებათა დაქირავების, ხელშეკრულებას, ყიდვა გაყიდვის, სესხის აღებისა და გაცემისა, იჯარისა, დაზღვევისა, ამხანაგობებისა, საბანკო და საკრედიტო საქმიანობის წარმოებისა და სხ შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია შენიშვნა სამოქალაქო სამართლო დაცვის შესახებ მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც არ არის აკრძალული კანონით. ხელშეკრულებათა დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოების დადგენილებით, მხოლოდ ზოგიერთი გამონაკლისით, რომელიც ჩვეულებრივია ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სამოქალაქო უფლებებისათვის: ხელშეკრულების დადება უნარ მოკლებულებთან კანონის საწინააღმდეგო მიზნით და აუცილებელ ფორმალურ მხარეების დაუცველად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ შემთხვევას, როცა ირღვევა ხელშეკრულება სახელმწიფოს დაზარალების მიზნით.

ამ ჟამად წარმოებს ხელშეკრულებათა ვაკხანალია, რომლებიც იდება ქრთამის საშუალებით საკუთარ ანგარიშების მიზნით, რასაც აშკარა ვნება მოაქვს სახელმწიფოსათვის.

ბოლოს მომხსენებელი წინადადებას აძლევს ს. რ. ც. ა. კ. მიიღოს კანონ-პროექტი და გადასცეს იგი პარტიულ კომიტეტს დასამუშავებლად. მოხსენებას შემდეგ ილაპარაკეს რამდენიმე ორატორებმა, რომლებიც გამოვიდნენ მოხსენების ზოგიერთ მუხლების წინააღმდეგ. კანონპროექტი ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა და გადასცეს ს. რ. ც. ა. კ. საპელაციო კომისიას.

ამხ. კრილენკო გამოდის მოხსენებით პროკურატურის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით პროკურატურას ევალება ორი ფუნქცია: სახელმწიფოს სახელით თვალყური ადევნოს ყველა დაწესებულებათა, სამეურნეო ორგანიზაციათა და კერძო პირების კანონიერ მოქმედებას და კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის ძიების აღძვრას. პროკურორის მეთვალყურეობას ნება ეძლევა განაცხადოს პროტესტი სახელმწიფოს ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა და კერძო პირთა მიერ კანონების და დადგენილებათა დარღვევის წინააღმდეგ. პროკურორის მეთვალყურეობის სათავეში სდგას რესპუბლიკის პროკურორი, და ამ თანამდებობას ასრულებს იუსტიციის სახ კომისარი. პროკურორის მეთვალყურეობა ეწყობა მთელ რესპუბლიკაში როგორც ერთიანი ორგანიზაცია. საგუბერნიო პროკურორებს ნიშნავს რესპუბლიკის პროკურორი, რომლებიც ემორჩილებიან მას უშუალოდ. პროკურორის მეთვალყურეობის პირთა თანამდებობიდან დათხოვნა, გადაყვანა ან გადაყენება შეუძლია მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორს პროკურორის მეთვალყურეობა თვალ-ყურს ადევნებს გამომძიებელთა მიერ გამოძიების წარმოებას და საპატიმროებს.

„იზვესტია" ს. რ. ც. ა. კ. სესიის შესახებ.

მოსკოვი. 16 მაისი (რადიო). „იზვესტია" მოწინავე წერილში, რომელსაც იგი უძღვნის ს. რ. ც. ა. კ სესიას, წერს: მიუხედავად სესიის დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების მრავალფეროვანებისა მისი ცალცალკე მუხლები ორგანიულად შეუთანხმდენ ერთმანეთს. ყველა ისინი წარმოადგენენ ლოღიკურ განვითარებას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე. რამდენადაც ს. რ. ც. ა. კ. სესია დამაკმაყოფილებლად გადასწყვეტს წამოჭრილ საკითხებს, იმდენად მტკიცე საფუძველს შექმნის იგი სახელმწიფოს ახალ ეკონომიურ დამოკიდებულებათა და აღორძინების შემდეგში უშეცდომელად განვითარებისათვის. მაშინაც კი, თუ გენუის კონფერენცია ჩვენ ვერაფერს მოგვცემს სულ ერთია სესია თავის მუშაობით დამოუკიდებლად შექმნის მატერიალურ პირობებს ჩვენი ეკონომიურად აღორძინებისათვის და წასწევს მას წინ.

ეხება რა შემდეგ წითელ ლაშქრის შემცირების საკითხს, რომელიც დასმულია სესიის პროგრამაში „იზვესტია" განაგრძობს: თვით ამ საკითხის დღიურ წესრიგში დასმა კიდევ უმტკიცებს, მთელ მსოფლიოს ჩვენ მშვიდობიან განზრახვებს, და მისი დღიურ წესრიგიდან მოხსნა თუ ეს ჩვენ მოგვიხდება, დაგვანახვებს, რომ თუ საბჭოთა რუსეთი რჩება თოფქვეშ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას აიძულებენ მას საბჭოთა და საერთო მშვიდობიანობის მტრები.

მოსკოვი, 16 მაისი. რადიო. 15 მაისის სხდომაზე გაიმართა კამათი კრილენკოსა და ბრანდენბურგსკის მოხსენებათა შესახებ.

— კრილენკოს მოხსენების გამო, სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ, პროვინციის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს პროკურატურის წინააღმდეგ, რომელსაც როგორც ზემოდან დანიშნულს და ადგილობრივ ცხოვრებასთან დაშორებულს, შეუძლია გამოიწვიოს ხელისუფლების დაყოფა, რასაც შედეგათ მოყვება გაუგებრობა და არევ დარევა.

სკრიპნიკი ლაპარაკობდა ადვოკატურის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია შექმნას განსაკუთრებული კორპორაცია, რომელიც ამასთან იღებს სახელმწიფო ხელისუფლებიდან პოლიტიკურ უფლებათა ნაწილს. ასეთი დათმობა კი, ორატორის აზრით, ყოვლად შეუძლებელია. დამცველთა კოლეგია უნდა შევქმნათ, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დაუქვემდებაროთ სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს.

პროექტის დასაცავად სიტყვა აიღო ამხ. კალინინმა. მისი აზრით, საპროკურორო ზედამხედველობა მაშინ უფრო ნამდვილი იქნება, თუ იგი არ დაექვემდებარება ადგილობრივ ხელისუფლებას საგუბერნიო პროკურორი ცენტრის თვალია, რომელიც თვალყურს ადევნებს ადგილობრივ საბჭოთა კანონების აღსრულებას. მან თვალყური უნდა ადევნოს რევოლიუციონურ კანონიერებას, ე. ი. უნდა გააკეთოს ის, რასაც თავის დროზე აკეთებდა წითელი არმია და განსაკუთრებული კომისია („ჩეკა").

ბრანდენბურგსკიმ საბოლოო სიტყვაში აღნიშნა. რომ ადვოკატურის მთელი მოქმედება იწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ. დამცველთა კოლეგიის პირველ შედგენილობას ადგენს იუსტიციის ადგილობრივი განყოფილება და მას ამტკიცებს საგუბერნიო აღმასკომი. და სწორედ ამაში უნდა ვხედავდეთ ადვოკატურის მოქმედებაზე კონტროლის გარანტიას.

მოსკოვი. 17 მაისი (რადიო). კენჭის ყრის შედეგად ადვოკატურის პროექტი ს. რ. ც. ა. კ. მიიღო როგორც საფუძველი და გადასცა დასამუშავებლად სპეციალურ კომისიას. კანონ პროექტი პროკურატორის შესახებ ს. რ. ც. ა. კ. მიიღო და გადასცა სპეციალურ კომისიას როგორც მასალა სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კურსკი. „სისხლის სამართლის კოდექსი, ამბობს იგი ძირითად განსხვავებას მეფის დროის სისხლის სამართლის კანონებისაგან. მაში სრულად არ არის შურისძიების და დაშინების ელემენტები. პროექტი შეიცავს გამასწორებელ ხასიათის ზომებს. ყველა დანაშაულებანი იყოფა ორ კატეგორიად: დანაშაულებანი, რომლებიც მიმართული არიან უშუალოდ მუშურ გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ და დანაშაულებანი, რომლებიც... (დამახინჯებულია)... სასჯელთა შორის ჩვენ შევიტანეთ იძულებითი სამუშაოს თავისუფლების ხელშეუხებლად, პირობითი განაჩენის გამოტანა და ზარალის აზღაურება. ეს არის სრულიად ახალი ფორმა დასჯისა, რომელიც მიმართულია დამნაშავეს გასწორებისაკენ. თავისუფლების აღკვეთას უდიდეს ვადათ დამყარებულია 5 წელი. ამასთანავე კოდექსში რჩება უმაღლესი დასჯა დახვრეტა, რომელიც იხმარება იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები და სისრულეში მოყავთ სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალის განაჩენით. წვრილ დამნაშავეთათვის ჩვენ ვამყარებთ გამარტივებულ წესებს სასამართლო ბრძანებების.

15 მაისს შესდგა ს. რ. ც. ა. კ. სესიის სასოფლო მეურნეობის კომისიის ორი სხდომა. ამ სხდომებზე მუხლობრივ იქნა განხილული დეკრეტი მიწით სარგებლობის შესახებ. კომისიამ პროექტში შეიტანა რამდენიმე შესწორება, და დაევალა მისი საბოლოო შეთანხმება იმ კომისიას, რომელშიაც შედიან ამხ. მესიაცევი სმიდოვიჩი და ოსინსკი. 16 მაისს კანონ პროექტი წაიკითხეს მეორედ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

ბათომი. თეთრეული ავადმყოფებს. წარმატებით ჩატარდა ბათომის მუშა-ქალების მიერ მოწყობილი კამპანია ავადმყოფებისათვის თეთრეულის შესაკრებად.

შრომის ფრონტზე. ამ დღეებში ნავთის კომიტეტის ქარხანაში გასკდა აუზის ზეთის მილი. მუშების თავდადებული მუშაობით, რომელიც მოეწყო სასწრაფოდ მიღებულ ზომებით გადარჩა 13,000 ფუთი ზეთი.

წითელ დაფაზე. ბათომის პარტიის საოლქო კომიტეტმა დაადგინა მოათავსოს წითელ დაფაზე წითელი არმიელი ზობროვი, რომლის ენერგიული მეცადინეობით გაყვანილ იქნა ელექტრონი წითელ არმიელთა უბანში.

შინ დათხოვნილების გამომშვიდობება. წავიდ წამოვიდნენ დემობილიზაციით დათხოვნილი წითელ არმიელები, რომლებიც იყვნენ დაბადებული 1899 წ. მათ გაუმართეს საზეიმო გაცილება.

უმაღლესი ეკონომიური თათბირი. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შესდგა აჭარისტანის უმაღლესი ეკონომიური თათბირი.

თესვის კამპანია უკანასკნელ დღეებში მოსული წვიმები ხელს უწყობენ თესვას. მოსავალის პირი ყველგან კარგია. აჭარისტანში დაუთესავი არ დარჩენილა არც ერთი ნაჭერი მიწა.

აფხაზეთი.

ბრძოლა ბნელ ელემენტებთან. კოდორის მაზრაში აღმასკომის და პარტკომის შეერთებულ სხდომაზე არჩეულ იქნა სპეციალური კომისია 3 კაცისაგან: აღმასკომის თავმჯდომარისაგან, სამაზრო მილიციის უფროსისაგან და სისხლის სამართლის მილიციის უფროსისაგან. ამ კომისიას მიზნად აქვს შეადგინოს მაზრის ბნელი ელემენტების სია.

დამშეულთა სასარგებლოდ. კოდორის მაზრაში სავაჭრო წარმოებებს და დაწესებულებებს დაედო გადასახადი დამშეულების სასარგებლოთ შემდეგი ნორმით: 1 კატეგორიის წარმოებებს 1 მილ. მან., მეორეს 700.000 მან., მესამეს 300,000 მან. მეოთხეს 200,000 და მეხუთეს 100,000 მან. გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს საბჭოთა რუსეთის ფულებით. დადებული გადასახადი უშუალოდ უნდა შედიოდეს კოდორის მაზრის დამშეულთა დამხმარე კომისიის სალაროში.

განძეულობის გადაცემა. გაგრის მაზრის დამშეულთა დამხმარე კომისიის სხდომაზე გაგრის ეკლესიის მღვდელმა იაკოლევმა მართლმადიდებელ ობშინის თავმჯდომარის თანადასწრებით განაცხადა, რომ გაგრის ეკლესია აძლევს დამშეულების სასარგებლოდ ყველა თავის განძეულობას. ამის გარდა მიღებული იქნება ყველა ზომები ხელზე ფულის შესაკრეფათ. წესდება გადარიცხვა ეკლესიის მთელი შემოსავლის ერთი მეოთხედისა და აგრეთვე მოგებისა, რომელიც დარჩება სანთლის გაყიდვისაგან. შემოწირულებისათვის ჩამოვლის წინ მღვდელი იაკოვლევი ყოველთვის წარმოსთქვამს სათანადო სიტყვას.

შკოლების მდგომარეობა. სამურძაყანოს მაზრის შკოლების დათვალიერების შემდეგ ცხადი შეიქნა რომ მაზრის 58 შკოლიდან, სადაც სწავლობს 3,148 მოსწავლე და ასწავლის 151 მასწავლებელი, კაპიტალური შეკეთება სჭირდება შენობების 50 პროცენტს. დიდი მოთხოვნილებაა როგორც სახელმძღვანელოების ისე საწერი ნივთების. სურსათის ულუფის და ჯამაგირის თავის დროზე აუღებლობის გამო მასწავლებლები განიცდიან კრიტიკულ მატერიალურ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს არ აქვთ ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საჭმელი ისინი მაინც მუშაობენ სასწავლებლებში და არ სტოვებენ თავიანთ პოსტებს. შკოლის მუშაკებს პრაქტიკულად უხდებათ შრომის შკოლის იდეის განხორციელება სახელმძღვანელოების და წიგნების უქონლობის დროს. მცხოვრებლების დამოკიდებულება შკოლებთან სასიამოვნოა: შკოლას პატივს სცემენ. მაზრის ხელის უფლების წარმომადგენლების და მასწავლებლების დამოკიდებულება ყოველთვის არ არის ნორმალური. ასე მაგალითად მაზრის ცენტრში — სოფელ გალში მიუხედავად აფხაზეთის რევკომის ბრძანებისა, რომ 7 კლასიანი სასწავლებლის შკოლის დიდი შენობიდან, რომელიც იტევდა 230 მოწაფეს, არ ყოფილიყო დაკავებული შკოლის შენობა სხვა დაწესებულებების მიერ, მასწავლებლები იქნენ გამოსახლებული, შკოლის ქონება დაურიგდა სხვა და სხვა დაწესებულებებს და შენობა კი დაიკავა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

სომხეთი

ერევანი 15 მაისი (რადიო). **საბჭოთა სომხეთის კონსტიტუცია.** ახლად დაბეჭდილ № 8 „დეკრეტებისა და კანონების კრებულში" დართულია საბჭოთა სომხეთის კონსტიტუცია.

სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის სესია. მაისის ბოლო რიცხვებისათვის განზრახულია საბჭოთა სომხეთის აღმასკომის სესიის მოწვევა. სომხეთის აღმასკომის პრეზიდიუმმა ცირკულიარულად წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატებს გადაათვალიერონ ყველა აქამდი გამოსული დეკრეტები და წარმოადგინონ მათ შესახებ თავის დასკვნა თუ რომელი დეკრეტი საჭიროებს გაუქმებას და რომელი შეცვლას.

ახალი დებულება კომისარიატების შესახებ. სომხეთის აღმასკომის პრეზიდიუმის წინადადების თანახმად უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია ახალი დებულების შესამუშავებლად კომისარიატების შესახებ.

სასამართლოს მოწყობა. იუსტიციის კომისარიატი შეიტანს აღმასკომის უახლოეს სესიაში პროექტს ადვოკატურის და პროკურატურის შესახებ.

სამაზრო აღმასკომების სახურსათო განყოფილებების შესახებ. ახლო ხანში აღმასკომის სესიაში იუსტიციის კომისარიატი შეიტანს პროექტს სამაზრო აღმასკომებთან არსებული სასურსათო განყოფილებების გაუქმების შესახებ.

აზერბეიჯანი

კალიასთან მებრძოლ ორგანიზაციების მუშაობა 7 მაისისათვის. შუშის მაზრაში კალია მოსპობილია 3 ადგილას; დარჩა კიდევ 1 ადგილი ამ უკანასკნელში სწარმოებს მუშაობა. კარიაგინის მაზრაში თხრილების გაყვანა სწარმოებს შეუწყვეტლივ. დჟევატის მაზრიდან ძალიან მოაწვა კალია შახოვანის ადგილებს. ნათესები არ გაფუჭებულა.

ბელიასუვარის რაიონში 7 მაისს დამუშავდა მიწხაპუნებით 430 დესიატინა, დაწვით 305 დეს. გათხრილია თხრილები 4 ვერსის სიგრძეზე. ბევრ ადგილებზე კალია ძალიან მოწოლილია. მუშაობა მიმდინარეობს წარმატებით. ზოგიერთ ადგილებში მოსპობილი კალიის ფენა უდრის სისქით 1 არშინს. ხილინის ადგილები უკვე განთავისუფლებულია კალიისაგან.

8 მაისისათვის კუბანის რაიონში აღნუსხულია 400 დესეტინა, სადაც იმყოფება კალია. 8 მაისს კიჩიკჩეკის ადგილებში დაიწყო მუშაობა მექანიკური მეთოდებით კალიის მოსასპობად.

ქრონიკა

◆ **ყოფილ ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკა.** სახალხო კომისართა საბჭომ უარყო აჭარისტანის ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა ყოფილ ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის დენაციონალიზაციის ან მისი აჭარისტანის ს. მ. უ. ს. გადაცემის შესახებ.

◆ **ნავთის შესანახები** ყოფილი გუნცაძის სადგ. წნორის-წყალზე გადაეცა სიღნაღის სამაზრო აღმასკომს.

◆ **გემი „ქორონი".** საქართველოს კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საზღვაო ტრანსპორტის უფროსს მიიღოს საჩქარო ზომები, რომ ფოთის ნავსადგურის კომენდანტმა დაუყონებლივ გადასცეს საქართველოს და აფხაზეთის ს. ს. რ. საზღვაო ტრანსპორტის განკარგულებაში ორთქლით მავალი კატერი „ქორონი" თავის ბარჟით.

◆ **პირდაპირი მავთულით.** ბაქოში, ბიბი-ეიბათზე 15 მაისს ამოხეთქა ფონტანმა, რომელიც იძლეოდა დღე და ღამეში 250 ათას ფუთ ნავთს.

◆ **საჩუქარი ამერიკელებისაგან.** ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა შესწირა საქართველოს დამშეულებს 1000 ტონი სიმინდის ღერღილი. ამ ღერღილის ადგილობრივი დარიგება მოხდება საქართველოს დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის მიერ ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით.

◆ **საშკოლო გამოფენა.** მე 101 შრომის სკოლაში (ყოფილი ვანის, 12) დღეს იხსნება მოსწავლეთა ნამუშევრის გამოფენა. გამოფენა ღია იქნება 18, 19, 20 და 21 მაისს საღამოს 4-დან 6 საათამდე. შესვლა უფასოა.

◆ **ოზურგეთის რკინის გზის შტო** სახალხო კომისართა საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა მოხსენება სადნოტანებიდგან ქ. ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს მოწყობის შესახებ. აღნიშნულ გზის გაყვანის პროექტი გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით რომელშიაც შედიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. ეს პროექტი ყოველმხრივ განხილული იქნება ერთი კვირის განმავლობაში.

— **„ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ფონდი".** ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენების თანახმად ამავე კომისარიატის მოსამსახურეთათვის ჯილდოს მისაცემად სპეციალურ ფონდის დაარსების შესახებ, მათ ს მუშაობზედ წაქეზების მიზნით სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: დაარსდეს ფინანსთა კომისარიატის საგანგებო განკარგულებაში ზემო აღნიშნულ მიზნებისათვის სპეციალური ფონდი, რომელიც უნდა შედგეს სამი პროცენტის გამორიცხვით პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადთა შემოსავლის მთელ ჯამისაგან, რომელიც შეტანილი იქნება ხაზინაში მიმდინარე საბიუჯეტო წელში. ხაზინა ვალდებულია ყოველ დღიურათ გამოარკვიოს შესულ გადასახადთა ჯამი და გადარიცხოს სამი პროცენტი ფინანსთა კომისარიატის დეპოზიტში, „ფინანსთა კომისარ. მუშა მოსამსახ. ფონდის" ანგარიშზე, საიდგანაც ფული უნდა გამოიწეროს მხოლოდ ფინანსთა კომისარიატის ასიგნოვკით იმ მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებიც განსაკუთრებულ ენერგიას გამოიჩენენ სამსახურის აღსრულებას დროს.

სატარიფო განაკვეთის შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა შრომის კომისარიატს ყველა ძირითადი სატარიფო განაკვეთი და დებულებანი სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათათვის რომლებიც გატარებულ უნდა იქნენ ცხოვრებაში, წინასწარ წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

◆ **ინვალიდთა სახლები.** შრომის კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩუკუნიძის სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ქონების მისაღებ მუშაობის დამთავრების შესახებ დაადგინა დასახიჩრებულთა სახლების მთელი ინვენტარი და შენობები გადასცეს ჯანმრთელობის კომისარიატს, აგრეთვე მას უნდა გადაეცეს დასახიჩრებულთა დასაკმაყოფილებელი ფულიც.

თეატრი და ხელოვნება

საქართველოს სამხატვრო აკადემია

საზეიმო სხდომა. მაისის 14 ს თამარობის დღეს გაიხსნა საქართველოს სამხატვრო აკადემია; საზეიმო სხდომაზე მოწვეული იყო სახ. განათლების კომისარი, მისი მოადგილე, მთავარ სახელოვნო კომიტეტის გამგე და სხვა.

აკადემიის რექტორმა გ. ნ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა მეტად შინაარსიანი და დასაბუთებული მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა სამხატვრო აკადემიის დიადი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული მხატვრული ნაშთთა შესანარჩუნებლად და საერთოდ მხატვრული დარგის სათანადოთ განვითარებლად.

— **გამოცდები.** გამოცდები სამხატვრო აკადემიაში უკვე დაიწყო, გაგრძელდება მაისის 17-დე.

— **აკადემიის საზეიმო გახსნა** გადებულია ახალ ბინაზე გადასვლამდე, 1 ივნისიდან საქ. სამხ. აკადემია მოთავსებული იქნება ყოფილ 1-ლ ვაჟთა გიმნაზიაში, თანახმად სახ განათლების კომისრის მიერ განკარგულებისა.

— **მოსამზადებელი კურსები.** საქ. აკადემიასთან გაიხსნა პედაგოგიური განყოფილება მოსამზადებელი კლასებით.

საბაფუძვლო სემესტრის განმავლობაში იარსებებს 2 განყოფილება: 1) მოსამზადებელი კლასი; 2) განმეორებითი კურსები შრომის პირველ დაწყებითი სკოლის ხატვის მასწავლებელთათვის.

მიიღებიან არა ნაკლებ 13 წლისა შრომის სკოლაში 4 კლასის კურს დამთავრებულნი

სწავლის ფასი 1-ლ ივლისიდან 1 ოქტომბრამდე 300.000 მ.

— **კრებულ „კატორღა და ციმბირის" შემდეგი გამოცემისათვის.** ყ. პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების საბჭოს სარედაქციო კომისია სთხოვს ამხანაგებს გამოგზავნონ წერილები, შენიშვნები და ყოველგვარი მასალები პოლიტიკურ კატორღისა და ციმბირის ცხოვრებიდან და აგრეთვე მასალები წარსულ რევოლუც. მოძრაობიდან კრებულ „კატორღა და ციმბირის" შემდეგ ნომერში მოსათავსებლათ.

მასალები უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს ამხ ა. რუხაძეს (სტატისტიკური განყოფილება, როზა ლუქსემბურგის, ყოფ. შტაბის ქ. № 2) დილის 9—12 საათამდე.

— **დიდი სალიტერატურო დრამატიული საღამო.** თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატთან არსებულ პოლიტ-განმანათლებელ კომისიის მიერ შაბათს, 20 მაისს საღამოს მუშტაიდის ბაღში საქ დამშეულთა სასარგებლოთ მეორედ გაიმართება გრანდიოზული სალიტერატურო-დრამატიული საღამო.

საღამოში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან საქ პროლეტარულ მწერლები და პოეტები: რაჟდენ კალაძე, სანდრო ეული, იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, იაკ. ლისაშვილი, გოგიტო ციმბირელი, ს. თალაკვაძე, ევ სიდოშვილი, შინატეხელი, ცის ზარი და სხვა.

წარმოდგენილი იქნება ა. ჯაყელის რეჟისორობით ვ. გუნიას 3 მოქ. პიესა „სიძე სიმამრი". სეირნობა დაიწყება საღამოს 5 საათზე. წარმოდგენა ცხრა საათზე. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და იქნება შევარდენთა ვარჯიშობა.

— **პროლეტარულ მწერალთა კრება.** ასოციაციის პრეზიდიუმის დადგენილებით ყოველ სამშაბათობით ხელოვნების სასახლეში ასოციაციის ბინაზე გაიმართება სალიტერატურო საღამოები. ხოლო პარასკევს, 19 მაისს საღამოს ექვს საათზე გაიმართება პირველი საღამო. მოხსენებას პროლეტარულ პოეზიაზე წაიკითხავს სანდრო ქურიძე, რის შემდეგ მოხდება პოეტების მიერ წაკითხულ ნაწარმოებების გარჩევა ამხ. სილ. თოდრიას, რაჟ. კალაძის, ს. თალაკვაძეს, გიგლა მებუკეს, შინატეხელს, გ. ციმბირელს და სხვა ასოციაციის წევრთა დასწრება აუცილებელია.

ასოციაციის მდივანი: პ. ქუთათელაძე.

— **პატარა თეატრი.** შაბათს, 20 მაისს, სახელმწიფო პატარა თეატრში წარმოდგენილი იქნება კოტე ფოცხვერაშვილის 3 მოქ. კომედია სტუდენტების ცხოვრებიდან „აშენდა საქართველო" მონაწილეობენ: ალ. ჟორჟოლიანი, შალვა დამბაშიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, მიქაბერიძე და სხ.

— **ქართული დასის რეორგანიზაცია.** ამ მოკლე ხანში მოხდება ქართული დასის საბოლოო რეორგანიზაცია, რის შემდეგ შეხვდება ახალი დასი ახალი ძალებით და რეპერტუარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—მე 4. დოლიძის ოპერა „ლეილა“ (ქართულ ენაზე).
— რუსთაველის თეატრი—ქართული წარმოდგენა.
— პატარა თეატრი—ინი მატის საღამო.
— სარევ. სამხატვ. თეატრი—ველური ბერი.
— სახალხო სახლი—ვაი ჭკუისაგან.
— საკამერო თეატრი—სომხურ საზოგად. საღამო.
— მუშათა ცენტ. კლუბი—წარმოდგენა—მინიატიური.
— მაცკ. ახალი თეატრი—კინო.
— ქართ. წით. ლაშქ. ც. კ.—ქართული წარმოდგენა.
— თეატრი ბოგემა—იუმორისტული პროგრამა.
— პროფკავშირთა კლუბი—ფაფონიანის მოხსენება.
— კონსერვატორია—კონცერტი.
— ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო თეატრებში.

— არფასტო—მალონ ლესკო.
— სარკის—ახალი პროგრამა.
— კინო არსი—მშვენიერი ივონა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში

ამ ბოლო ხანებში შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. პირველ ყოვლისა შემცირებულ იქნა კომისარიატის შტატები. თუ კი დღემდე კომისარიატის შტატში ირიცხებოდა 294 თანამშრომელი, მილიციის მთავარ სამართველოსთან ერთად, დღეს ირიცხება 147 თანამშრომელი; შტატი კომისარიატისა 50 პროც. შემოკლდა. შტატების შემცირების შემდეგ კომისარიატში მუშაობას მეტი გამოცოცხლება და საქმიანობა დაეტყო. იქ სადაც ოთხი ხელი ერთს საქმეს ზმორებით აკეთებდა, დღეს ორი ხელი ერთგულად ჩასჭიდებია თავის მოვალეობის ასრულებას და გაორკეცებული ენერგიით საქმეს წინ მიაქანებს.

მეორე ამოცანად კომისარიატმა დაისახა ზოგიერთ განყოფილებების გაუქმება. გაუქმებულ იქნა 21 აპრილიდან მილიციის მთავარი სამართველო და, როგორც სამილიციო განყოფილება, შეუერთდა კომისარიატს. რესპუბლიკის მილიციის ყოფ. უფროსი მოქ. რატიშვილი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, მის ადგილას დაინიშნა ამხ. ტრაპაიძე და უკანასკნელის თანაშემწე ამხ. იოვიძე. მომარაგების განყოფილება და საერთო კონცელარია მთავარი მილიციის სამმართველოისა გაუქმებულ იქნა შ. ს. სახ. კომისარიატის ასეთივე განყოფილებასა და კანცელარიასთან შეერთებით, დანარჩენი ქვე განყოფილებები სამილიციო განყოფილებისა დარჩა უცვლელად. სანამ მთავარ მილიციის სამმართველო ცალკე დაწესებულებას წარმოადგენდა, ყავდა 104 კაცისაგან შემდგარი შტატი, კომისარიატთან შეერთების შემდეგ მას დარჩა 29 კაცის შტატი, რამაც მოსპო ბიუროკრატიზმი და მუშაობა უფრო ნაყოფიერი გახადა.

თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოხდა ასეთი ცვლილება: გაუქმებულ იქნა საიურისკონსულტო, ადმინისტრატიული ერთეულთა განყოფილებები და წითელ არმიელთა მიერ მიყენებულ ზარალის ამანაზღაურებელი კომისია. იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო გადაეცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს. ამ უკანასკნელს გადაეცა სამმართველოს საქმეები, ზოგიერთი ტეხნიკური ინსტრუმენტები და შტატი მთელი თავისი შემადგენლობით. იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს გადაცემა დამთავრდა 3 ამა მაისს დაახლოვებით 30 თანამშრომელნი იძულებითი საწუშაოს მთავარ სამმართველოსა, იუსტიციის სახალხო კომისარიატში გადასვლის დღიდანვე, დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან საერთო შტატების შემცირებისა და იძულებითი მუშაობის პრინციპების გაუქმების გამო.

კიდევ ბევრი რამ საყურადღებო კეთდება კომისარიატში. მრავალი ღონისძიებაა მიღებული და განკარგულებაა გაცემული შინაგან საქმეთა კომისარიატის აპარატის გასაჯანსაღებლად და სათანადო დონეზე დასაყენებლად. კერძოდ საყურადღებოა სახ. კომისარის ამხ. გეგეჭკორის მიერ ამ უკანასკნელ დღეებში გამოშვებული მოწოდება, რომელშიაც ამხ. გეგეჭკორი აღნიშნავს შინაგან საქმეთა კომისარიატის აპარატის კარგად მოწყობის მნიშვნელობას სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და მოუწოდებს თანამშრომლებს საქმის სრული შეგნებით და ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი.

ბ. ც—ია.

ბავშვის სახლი

(კორღანოვის ქუჩ.ზე № 7).

დიდს ქალაქებში, ყოველ დღე გვიან ღამით, ან გარიჟრაჟისას, სადმე ჯებირებთან და მდიდარ სახლების შესასვლელ კარებთან,—ღამის დარაჯი ან მილიციონერი ჰკრებს ძონძებში გახვეულ, ქანც მილეულ უპატრონო პატარა ბავშვებს, რომელთაც გადასცემს ხოლმე ბავშთა სახლში, რათა აქ ჰპოვონ ამ უმწეო და უბედურ პატარებმა თავშესაფარი, ალერსი და მყუდროება.

თბილისშიდაც არსებობს ასეთივე ბავშთა თავშესაფარი სახლი, კორღანოვის ქ. № 7; გარეგნობით ხსენებული სახლი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. როცა წინა კარებიდან შედიხართ, ყოველმხრივ ჰგრძნობთ სისუფთავესა და წესიერებას, შემოგეგებებათ ხოლმე მორიგი სათნოებას და თეთრ ხალათში, გაიგებს თუ არა, რომ სახლის დასათვალიერებლად მოსულხართ, წინადადებას გაძლევთ ჩაიცვათ ხალათი. ახვალთ ზევით, შედიხართ პატარა საბავშო ნათელ ოთახში, სადაც სდგას რამდენიმე ტახტი, და კედლებზე კი ჰკიდია ბიულეტენები თითეული ბავშვის ჯანმრთელობისა და ტემპერატურის შესახებ, ეტყობა რომ ბავშვების მომვლელი ქალები და სათნოების დები ბავშვებს ალერსიანად და ყურადღებით ეპყრობიან; მაგრამ მიხვალთ თუ არა ტახტთან და ასწევთ თუ არა ბავშვის პირ'აფარს, სრულებით სხვა, საშინელი სურათი გადაგეშლებათ თვალწინ: გამხდარი, ფერმკრთალი, დანაოჭებული სახე, ცარიელი ძვალი და ტყავი, მთელი პირისახე ტანჯვითა და სევდით სავსე. საერთოდ ეს ბავშვის მშვიდს სახეს კი არ ჰგავს, არამედ ტანჯულისა და ნაღვლით სავსე მოხუცის სახესა რომელსაც განუცდია თავის ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა და ვაება: მიდიხართ მეორე ტახტთან და იგივე სურათი: ბავშვი ერთობ ზარმაცად ახელს ტანჯვითა და მწუხარებით სავსე თვალებს და ისევ ჩქარა ხუჭავს თითქოს გთხოვდეთ ხელი არ შეუშალოთ, რათა მშვიდათ და წყნარათ მოშორდეს ამ ცხოვრებას. გადიხართ მეორე, მესამე და სხვა დანარჩენ საბავშო ოთახებში და ყველგან იგივე საშინელი და შემზარავი სურათები. მხოლოდ აქა იქ შეხვდებით ზოგიერთი ბავშვებს, რომელნიც თავიანთი საკმაოდ ჯანმრთელი გამომეტყველებითა და მხიარული სახით სიცოცხლის იმედს იძლევიან. ბავშვთა ამ უდაბნოში ეს უკანასკნელნი ოაზისივით განირჩევიან.

ყველა საბავშო ოთახები რომ დაიაროთ, იშვიათად თუ გაიგონებთ ბავშთა კნავილს. ამ პატარა ნორჩი არსებათა ორგანიზმი იმდენად დაუძლურებული და ღონემიხდილია, რომ მათ არა აქვთ საშუალება ისარგებლონ ბუნების მიერ მათზე მინიჭებული ერთად-ერთი იარაღითა და ყვირილის შემწეობით გამოსთქვან თავიანთ პროტესტი. და ასე ჩუმად და უხმოდ გვშორდებიან ჩვენ ისინი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენი ბავშვი სცხოვრობს ამ სახლში,—მიპასუხს: 24 ბავშვი სცხოვრობსო. როგორ,—ვკითხე მე,—რამოდენიმე დღის წინად კი ამბობდენ ოცდაათი ბავშვი სცხოვრობსო?! დიახ, ოცდაათი იყო, მაგრამ ოთხი და ორი კიდევ ახლად შემოყვანილი გარდაიცვალა; ჩვენში ეს ჩვეულებრივი მოვლენა არისო, მიპასუხა სათნოების დამ. საშინელებაა, გულს ბოღმა გაწვებათ, და ჩქარა გინდათ თავი დააღწიოთ ამ ატმოსფეროს, რასაც გაიძულებთ სხვათა შორის მძიმე ჰაერი, რომელიც ყველა ოთახში მეფობს. ჰაერი საერთოდ ძალიან ცოტაა. უაღრესად ცოტაა აუცილებელი თეთრეულიც. ხოლო რაც უმთავრესია ყველა ბავშვზე მხოლოდ ოთხი მასაზრდოებელი-მეძუძურია. სამზარეულო სრულიად მოუწყობელი და მედიკური თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებს.

საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც, შეიძლება თამამად ითქვას, კაცობრიობის ისტორიაში პირველად იცნო ყველა ბავშვები თანასწორად, მიიღო ისინი თავის მფარველობის ქვეშ, გამოიჩინა ბავშვების მიმართ ყურადღების მაქსიმუმი და მზრუნველობა, მიაფინა თავის რესპუბლიკა საბავშო დაწესებულებათა მთელი ქსელით, დღესაც, ამ მძიმე განცდის ჟამს არ ივიწყებს თავის ბავშვებს და აკეთებს ყოველივე იმას, რაც შეუძლია. ბავშთა თავის მზრუნველობა ჩვენი მთავრობისათვის დარჩება შეუცვლელ ლოზუნგათ, რისგანაც პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეუძლია და ვერც გაბედავს უარის თქმას.

მაგრამ მოთხოვნილება ერთობ დიდია, მეშკვიდრეობა კი რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოებიდან არის მიღებული, ერთობ მძიმეა.

ასეთს კრიტიკულ ჟამს, სახელმწიფოს უნდა დაეხმაროს საზოგადოება და აიღოს თავისთავზე ზოგიერთი წილი ბავშთა მზრუნველობის საქმეში.

თქვენ მშრომელნო დებო, დედებო, საბჭოთა რესპუბლიკის მუშა-ქალნო და მოქალაქენო. თქვენ, რომლებმაც ტანჯვითა და წვალებით გამოზარდეთ თქვენი ბავშვები, რისთვისაც შეგიწირავთ და სწირავთ დღესაც თქვენს ახალგაზრდობას, ძალას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს,—თქვენთვის უნდა იყოს განსაკუთრებით გასაგები და ძვირფასი ასეთ ბავშთა ინტერესები, თქვენ პირველ რიგში უნდა გამოეხმაუროთ ამ მოწოდებას და შეჯგუფდეთ ს. კ. პ. ც. კ. თან და თ. ც. პ.-სთან არსებულ ქალთა განყოფილების გარშემო და ყოველმხრივ დაეხმაროთ მათ იმ ზომების განხორციელებაში, რომელნიც ხელს უწყობენ ბავშთა სახლების გაუმჯობესებას: მოაწყვეთ შემოწირულება, წარმოდგენები და სხვა. ძლიერი და სიცოცხლის უნარის მქონე ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი ახალგაზრდა შთამომავლობა ბედნიერი და ბრწყინვალე მომავლის საწინდარია.

ბავშვები, ეს ჩვენი კომუნისტური მომავალია.

ფ. ლორია.

თბილის ქალაქის აღმასკომის პლენუმში

(15 მაისის სხდომა)

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის და კომუნალურ განყოფილების მუშაობის შესახებ

მთელი თავის არსებობის განმავლობაში აღმასკომს ჰქონდა 4 სხდომა თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან გაერთიანებულს და ქვორუმის დაუსწრებლობით გადადებულ სხდომას.

ამ სხდომაზე გარჩეულ იქნა 24 საკითხი: კომუნალურ მეურნეობის—12, ფინანსიური—4, ჯანმრთელობის დაცვის—4 და საზოგადო—4 1921 წლის 14 დეკემბერ დგან 3 მაისამდე პრეზიდიუმს ჰქონდა 30 სხდომა, რომლებზედაც განხილული იქნა 438 საკითხები: კომუნალურ მეურნეობის შესახებ—129, სახალხო განათლების—17, ჯანმრთელობის დაცვის—9, სტატისტიკის—5, მუშა მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ—18 და სხვა.

წვრილმან საკითხების გასარჩევად დაწესდა მცირე პრეზიდიუმი, რომელსაც ჰქონდა 8 სხდომა და გაარჩია 167 საკითხები.

მოხსენების შემდეგ ნაწილში, კომუნალურ განყოფილების მუშაობის შესახებ ამხ. წივწივაძეს მოჰყავს ცნობები ციფრებით ქალაქის მეურნეობის ფინანსიურ და სხვაგვარ მდგომარეობის შესახებ და იმეორებს მოხსენებას, რომელიც წინაზედ გააკეთა აღმასკომის სხდომაზე (იხ. „პრავდა ზაკავკაზიის“ № 4)

მოხსენების მოსმენის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ქალ. ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება ამხ. წივწივაძის პრეზიდიუმის და კომუნალურ განყოფილების მუშაობის შესახებ დაადგინა:

1. საბჭოს პლენუმი საერთოდ იწონებს პრეზიდიუმის მოღვაწეობას და საჭიროდ სთვლის დაავალოს პრეზიდიუმს, რომ მან დაიცვას კლასობრივი პოლიტიკა მუშათა და მოსამსახურეების სისტემატიური გაუმჯობესებით.

კომუნალურ განყოფილების შესახებ საბჭოს პლენუმი აუცილებლად სთვლის კომუნალურ მოღვაწეობის ცხოვრებაში გატარებას და საწარმოვო დაწესებულებების ქსელის გაფართოვებას.

ამ რეზოლიუციაში შეიტანეს ორი დამატება, რომელიც მიიღო პლენუმმა.

1. გაუდიდდეს სახალხო განათლების განყოფილებას თანხა იმ ზომით, რომ მასწავლებლებს 1 იანვრისათვის მიეცეს მარტის და აპრილის მიუღებელი ჯამაგირი, ხოლო მაისის ჯამაგირი დაურიგდეთ ერთსა და იმავე დროს აღმასკომის ყველა მოსამსახურეებს.

2. რომ აღმასკომის აქტიური მუშაკები არ უნდა მოაცდინონ სხვა დაწესებულებებში მუშაობით და მუშაობდენ მხოლოდ აღმასკომში.

პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში

თავისუფალი წევრობისათვის. არსენალის რაიონში 9 მაისს შესდგა არსენალის რაიონის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება. დაესწრო 700-ზე მეტი ამხანაგი. მოისმინეს ამხ. კიკნაძის, ოდილავაძის და გასვიანის მოხსენებები პროფკავშირთა ახალი ამოცანების და თავისუფალი წევრობის შესახებ. მოხსენებათა შემდეგ მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, არსენალის რაიონის ყველა წარმოებათა მუშები და მოსამსახურეები ვიწონებთ პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებას. ყველანი მზად ვართ ჩავეწეროთ კავშირში და შევიტანოთ ის მინიმალური თანხა, რომელსაც შეგვაწერენ ჩვენ კავშირის გამაგრებისათვის იმ შეგნებით, რომ პროფორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელნი მუდამ იყვნენ და იქნებიან მუშათა კლასის ინტერესების საუკეთესო დამცველნი.

ამასთან ერთად საარტილერიო და საინჟინერო საწყობების მუშა-მოსამსახურეები აგონებენ პროფკავშირს რომ ჩვენ მუდამ ვითვლებოდით და შემდეგშიაც დავრჩებით კავშირის წევრებად, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ემჩნევა მოწყვეტილობა კავშირიდან და ჩვენ მხოლოდ ფორმალურად ვითვლებით წევრებად, და სინამდვილეში კი არავითარ მზრუნველობას კავშირის მხრით არ ვხედავთ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვიმყოფებით მძიმე პირობებში და ვითხოვთ რომ პროფკავშირთა საბჭომ მიაქციოს ყურადღება ჩვენს განცხადებას და შეძლებისდაგვარად გააუმჯობესოს ჩვენი მდგომარეობა“.

1 მაისის დღესასწაული პროვინციაში

დ. ჩხარი.

1922 წელს 27 აპრილს ჩხარის რაი პარტკომმა თავის მორიგ სხდომაზე აირჩია პირველი მაისის მომწყობი კომისია სამი ამხანაგისაგან. კომისიის სხდომა მოხდა 28 აპრილს, რომელმაც გამოუშვა პირველი მაისის ჩასატარებლათ სათანადო გეგმები.

გათენდა პირველი მაისი. ამინდი კარგი იყო. დილიდანვე იწყეს ყველა ამხანაგებმა თავის მოყრა ჩხარის რაიპარტკომთან, როგორც ადგილობრივებმა, ისე თემის კომიჩეიკებიდანაც. დაბას ქონდა დღესასწაულის სახე. არც ერთი დაწესებულება და სხვა შენობაც არ დარჩენილა, რომ წითელი დროშებით და ყვავილებით არ ყოფილიყო მორთული. დღის 12 საათზე მწყობრათ, დროშით და რევოლიუციონური სიმღერებით მივიდნენ რაიპარტკომთან ადგილობრივი კომკავშირის წევრები და შეუერთდნენ კომიჩეიკის წევრებს. აქვე იყვნენ ადგილობრივი შრომის სკოლების მოწაფეები თავიანთ მასწავლებლებით ხელმძღვანელებით. ადგილობრივი სომხური სკოლის მოწაფეები, ამხ. გეორგ ხალათიანის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ ყველა წითლათ ჩაცმულნი და თან ხელში ყველას ეჭირა პატარ პატარა დროშები და ასრულებდნენ სომხურ ენაზე პროლეტარულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. დღის 12 საათიდან დაიწყო მსვლელობა. პროცესია გაჩერდა სარაიონო მილიციის სამმართველოს წინ, სადაც მუშათა და გლეხთა მილიციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ჩხარის უბნის მილიციის უფროსმა ამხ. ილ. რობაქიძემ. შემდეგ პროცესია გაჩერდა ადგილობრივ განსაკუთრ. დანიშნულების გუნდის „ჩონის“ წინ, სადაც მოხსენებით გამოვიდა სამპარტკომის წარმომადგენელი ამხანაგი დ. მშვენიერაძე და გააცნო მსმენელთ „ჩონის“-ს დანიშნულება. აქედგან პროცესია გაემართა ადგილობრივ აღმასკომისაკენ, სადაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. რობაქიძე. იქვე კომ-კავშირის წინ, ჩხარის კომუნისტური ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა მოხსენებით ამხ გ. შოთაძე. შემდეგ ამისა, პროცესია გაემართა ადგ. რაი-პარტკომთან, სადაც რაი-პარტკომის სახელით მიტინგი გახსნა ამხ. ბ. სახელაშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა სამპარტკომის წარმომადგენელი ამხ. დ. მშვენიერაძე, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ პირველი მაისის ისტორია, მისი ლოზუნგები წარსულში და წელს. აგრეთვე შეეხო გენუის კონფერენციას, სამი ინტერნაციონალების თათბირს და გაქცეულ მენშევიკების სამარცხვინო მუშაობას ევროპაში. მომხსენებელმა სრულიად დააკმაყოფილა დამსწრენი. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მშრომელი ხალხი გამოსთქვამს ურყევ გადაწყვეტილებას მთელი ძალღონით დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი ყოველგვარ თავდასხმისაგან.

მიტინგი დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით. საღამოს ადგ. თეატრში გაიმართა უფასო წარმოდგენა „ბატონი და ყმა“. ხალხი ბევრი დაესწრო.

ბ. სახელაშვილი.

—

ვანის თემი.

(ქუთაისის მაზრა)

1 ლი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავათ დ. ვანში გაიმართა არაჩვეულებრივი საზეიმო მიტინგი. იარაღასხმული კომრაზმი იკავებს ტრიბუნის ირგვლივ ადგილს, მუსიკა უკრავს „ინტერნაციონალს“. 1-ლ საათზე მიტინგი უკვე გახსნილათ ცხადდება. დღესასწაულის მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ კომიჩეიკის სახელით ამხ. ი. ეფრემიძე, აღმასკომის სახელით ამხ. ი. ვაშაყმაძე, ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით ამხ. გ. ძიგრაშვილი, მემარცხენე სოც. ფედ. სახელით ამხ. დ. ლორთქიფანიძე, საბჭოს კომფრაქციის სახელით ამხ. ბ გოგორიშვილი და ამხ. ს. ბერაძე.

ამხ აღნიშნავს 1 ლ მაისის დღესასწაულის მნიშვნელობას. მიტინგი იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

1-ლ მაისს დ ვანში გაიხსნა დიდი ზეიმით ახლად-აგებული სახალხო სახლი „პირველი მაისის“ სახელწოდებით. დარბაზი მშვენივრათ მორთულია ვარდ ყვავილებით და სურათებით. ამ დროს იხდება ფარდა და „სახალხო სახლის საზეიმო გახსნის დღესასწაულს გახსნილათ აცხადებს დღესასწაულის ხელმძღვანელი ამხ. ვაშაყმაძე.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აღმასკომის სახელით ამხ. სანადირაძემ, ტეხნიკუმის და მთლიან შრომის შკოლის, აგრეთვე სცენის მოყვარეთა წრის სახელით ამხ. ლორთქიფანიძემ. ახალგ. კომკავშირის სახელით ამხ. იპ. ქავთარიამ, კომიჩეიკის სახელით ძაგნიძემ, ამავე დარბაზის საამშენებლო კომიტეტის სახელით ივ. ლასხიშვილმა, უპარტიოთა სახელით ამხ. მესხმა და ბოლოს კომრაზმის სახელით ამხ. ი. ვაშაყმაძემ. ამხ. აღნიშნავს სახალხო სახლის მნიშვნელობას. იყო წარმოთქმული ლექსები და ბოლოს გაიმართა წარმოდგენა, წარმოდგენილ იქნა „ადვოკატი მელაძე“ საღამო ფრიად მხიარულად ჩატარდა.

გერვასი.

პროვინციაში

ახალსოფლის საზოგადოება.

ჩვენი საზოგადოების მცხოვრებლები წინა წლებშიაც ვიყავით გაჭირვებული ქინახულის ნაკლებობის გამო, მაგრამ ისეთ უბედურებაში და გაჭირვებაში არა დროს არ ვყოფილვართ, როგორც ამ წელიწადს. მეტად შეგვაწუხა შიმშილმა. მომეტებულმა წილმა დაყიდა მარჩენალი საქონელი ჩალის ფასად. ბევრს სრულიადაც გასაყიდი არაფერი აბადია და შიმშილისაგან ძალიან შეწუხებულია ჯერ ახალ მოსავლამდი ჩვენში ოთხი თვეა და ამ ხნის განმავლობაში დიდი გაჭირვების გადატანა მოგვიწევს ბევრს დარჩათ დაუთესავი გასული წლის მოხნულები და ამ გაზაფხულის მოხნულებიც თესლის უქონლობის გამო.

გორის მიწების დამთესი სამაზრო კომისია ვერ უწვდება ხალხის მეათედსაც. წელს ნათესებს კაი პირი უჩანს. სამწუხარო ის არის, რომ ნაკლებად დაითესა. თუ ბუნებამ არ გვიმტყუნა, შეიძლება ახალ მოსავლიდან გვეშველოს. იმედია მთავრობა დაგვიხსნის შიმშილით სიკვდილისაგან.

ხიონ.

—

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა).

1922 წელს 25 აპრილს მარტვილის რაიონში მოეწყო დამშეულთა კომიტეტი (რაიკომის ინიციატორობით), რომელშიაც შედის ყველა მთავარი დაწესებულებისაგან თითო წარმომადგენელი (შემდგარია 9 კაცისაგან) და მასთან შესდგა შემოწირულებათა მომგროვი კომისია ნოღალევის ვაჭარ მოხელეებისა, რომელიც შეუდგა მუშაობას 28 აპრილიდან. აგრეთვე 5 მაისს იქნა დ. ნოღალევში მოწყობილი წარმოდგენა-საღამო, რომლის შემოსავალი უდრიდა 2,200,000 მანეთს.

ი. მონიავა.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის სამაზრო ორგანიზაციის მე-2 პარტიული კონფერენცია იხსნება 20 მაისს, დილის 10 საათზე თფილისის სამაზრო კომიტეტის შენობაში.

დღის წეს-რიგი: 1) საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. 2) § მოხსენება რ. კ. პ. მე-10 ყრილობის და საქართველოს პარტიულ ყრილობის შესახებ, 3) საორგანიზაციო საკითხები. 4) თბ. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში. 5) არჩევნები თბ. სამაზრო კომიტეტში და სარევიზიო კომისიაში.

თბ. მ. კ. მდივანი: **ამირაღლოვი.**

სარედაქციო კოლეგია.

კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობისათვის

ს. ა. კ. კ. ყველა ორგანიზაციებს და წევრებს

ს. ა. კ. კ. ცეკას გადაწყვეტილების თანახმად მე-2 ყრილობა გაიხსნება 5 ივნისს 1922 წ.

დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის.
2) ს. ა. კ. კ. ცეკას ანგარიში.
3) ს. ა. კ კ. ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მოხსენება.
4) კავშირის აღმშენებლობა ახალ პირობებში.
5) მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
6) სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება.
7) ცეკას არჩევნები.
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9) დელეგატების არჩევა რ. ა. კ. პ. კავკასიის ყრილობისათვის.

შენიშვნა: ყრილობაზე იქნება არჩეული სექციები: 1) საორგანიზაციო, 2) სააგიტაციო საპროპაგანდო და 3) ეკონომიურ-უფლებრივი.

დელეგატები აირჩევიან რაიონულ კონფერენციებზე. წარმომადგენლობითი ნორმა: 100 ნამდვილი წევრი ა. კ. კ. აგზავნის ერთს (1) დელეგატს.

შენიშვნა: 1 თუ რაიონში ითვლება ასი წევრზე ნაკლები—75-დე მას აქვს უფლება გამოგზავნოს ერთი (1) დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2. თუ რაიონში ითვლება—75 წე წევრზე ნაკლები—მაშინ ერთდებიან რამდენიმე რაიონები და ერთად აგზავნიან დელეგატებს.

დელეგატები სათათბირო ხმით კონფერენციაში არ იქნებიან დაშვებულნი. იმ მაზრებში, სადაც უკვე იყო სამაზრო კონფერენცია და არჩეულია დელეგატები, მათზე ეს წესი არ ვრცელდება. გამონაკლისს შეადგენს გორის მაზრა, სადაც კონფერენცია მოწვეულია 10 მაისს, და აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, რომელსაც წინადადება ეძლევა აირჩიოს დელეგატები ნორმის მიხედვით.

სამაზრო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ, არ გამოგზავნონ დელეგატები სათათბირო ხმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეკა არ მიიღებს ასეთებს მხედველობაში, და იქნებიან უკანვე გაგზავნილნი ცეკას დაუხმარებლად.

კომუნისტური სალამით.

ა. კ. კ ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**
ც. კ. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყ. გამგე **ოკუჯავა.**

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

განცხადება

ხუთშაბათს, 18 მაისს 1-ლ საბჭოთა სახლში გაიხსნება თბილისის მაზრის უპარტიო ქალთა 1-ლი

კონფერენცია

დღის წეს-რიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საბჭოთა ხელის უფლება და ქალთა განთავისუფლება, 3) მოხსენება ამიერ-კავკასიის უპარტიო ქალთა ყრილობაზე, 4) დელეგატების არჩევნები ამიერ-კავკასიის ყრილობაზე.

თბილისის მაზრის ქალთა განყ. გამგე: ფ. ადამიძე.

განცხადება

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწათ-მოწყობის განყოფილება

საყურადღებოდ ყველა მესაქონლეებისა, რომელნიც სარგებლობენ საძოვრებით, ამით აცხადებს, რომ მიმდინარე 1922 წლიდან არის დაწესებული ფულით გადასახადი საძოვრებზე, მიხედვით კატეგორიისა და სივრცისა საძოვრის ნაკვეთში სასარგებლო მიწისა შემდეგის ანგარიშით: ერთი დესეტინა ზაფხულის საძოვრისა—პირველი ხარისხისა 75 000 მან.,—მეორე ხარისხისა 50.000 მანეთი და მესამე—30.000 მანეთი.

ფული უნდა იყოს შემოტანილი მიწათ მოწყობის საძოვრების ქვე განყოფილებაში, ან მის აგენტებს (სასამართლოს ქუჩა, № 32) მაისის თვის განმავლობაში. ფულის გადამხდელს მიეცემა მანდატი საძოვრებით ხელშეუხებელ სარგებლობაზე.

(3—2)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული ლევან თამაზიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

(1—1)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა მიცემული ერევნის მაზრის მილიციის უფროსისაგან № 1086 იოსებ შიშტიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)

დაიკარგა

პასპორტი მიცემული ქ. შუშაში ელიზავეტ. გუბ. ივანე ქრისტეფორის ძე მალხასიანიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)